

140  
1950/2

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ  
ՊԱՐՏԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



Վրացական  
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ  
ՊԱՐՏԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



# ჭ ი ე მ ე წ ე რ ი

№ 10 ოქტომბერი 1950

საბავშვო ალკა ცენტრალური კომიტეტის  
სოციალური საბავშვო ჟურნალი

გამომცემლობა  
"კომუნისტი"  
წლიწადი XXIV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



წ. ა. ლინი ამჟამინდის III კრების დეკლარაცია შიშის  
შსტკ. 3. ბელოუსოვი

# ემაწვილება

## ვევაკვირიდეთ



ფერადდა ქირნახულით  
 შემოდგომის საესე კალთა,  
 და სოფელიც ახმურდა  
 ბელღების და მარნის კართან.  
 ფეხზე დადგა კაცი, ქალი,  
 შეესიენ ზვარს და ქალას,  
 შინ არ რჩება ბერიკაციც,  
 კაბუკივით იკრებს ძალას.  
 სიმინდს ტეხენ, ყურძენს კრეფენ,  
 არ ჩერდება სოფლის ხელი.  
 ქირნახულით თავს იწონებს  
 ბელღელი და საწნახელი.  
 მახსოვს, როგორ ახარებდა  
 ჩემს ძმას ეს დრო, ყურძნის ფერი,  
 მკლავის სიმსხო ტაროები—  
 მოსავალი ბედნიერი:  
 ახარებდა შემოდგომით  
 მზიარული ეზო, ქუჩა...  
 რთველის თავი იყო მუღამ  
 მაღალი და თმახუქუქა.

ახლა რთველში ის არ დადის,  
 აღარ უღვას მზარში უბანს...  
 ომში იყო, მტერს ებრძოდა  
 და გმირულად დაიღუბა.  
 გული მტკივა, რომ ვუცქერი  
 მისი ხელით ნარგავ ვახებს;  
 არ შემშრალა ჯერაც ცრემლი  
 ჩაფიქრებულ დედის თვალზე.  
 გვერდს უმავრებს მაინც მამას,  
 მაინც სოფელს უღვას მზარში,  
 რომ სიცოცხლე საყვარელი  
 ილიმოდეს მთადაბარში;  
 რომ მშვიდობის მზე და მთვარე  
 დანათოდეს ლაღად ოდებს,  
 ემაწვილები ვევაგილობდეთ,  
 წიგნი, სკოლა მრავლდებოდეს;  
 მუღამ ტკბილად იცლებოდეს  
 შემოდგომის საესე კალთა,  
 ვტრიალებდეთ, ვხალისობდეთ  
 ბელღების და მარნის კართან.

გიორგი კაჭხიძე





ესაათი წლის წინათ, 1920 წლის 2 ოქტომბერს, კომკავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა წარმოთქვა ისტორიული სიტყვა ახალგაზრდობის კავშირის ამოცანების შესახებ. თავის გამოსვლაში ვ. ი. ლენინმა გენერალური სიტყვითა და სიღრმით მოხაზა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები და განსაზღვრა ახალგაზრდობის როლი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტურ მოძრაობაში. დიდი ლენინის ეს უკუდავი სატყვე საბრძოლოდ ეღვრის დღესაც და წარმოადგენს მრავალმილიონიანი კომკავშირის მთელი საქმიანობის სამოქმედო პროგრამას.

კომკავშირის III ყრილობა შეიჭრიბა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის მეტად მძიმე პერიოდში. სამოქალაქო ომი ჩვენს ქვეყანაში ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ყირიმში მოქმედებდა მეფის გენერლის, უცხოელ ინტერვენტთა დაქირავებული ავერტის — ერანგელის არმია. ქვეყნის დასავლეთ რაიონებში დათარღობდნენ თეთარბოლონელები ლევიონები. შორეული აღმოსავლეთი ოკუპირებული იყო იაპონელების მიერ.

კომკავშირელები მთელ თავის ძალღონეს ამ წლებში სწრაფდნენ მიმდინარე მომენტის ამოცანების გადაწყვეტას, შედგარდ იბრძოდნენ საბჭოების რესპუბლიკის დასაცავად, ფრონტებზე მტრის განადგურების უზრუნველყოფისათვის.

კომკავშირელები და ახალგაზრდობა აესტუმრებდნენ წითელი არმიის რიგებს. ისინი სიმამაცის, სიმტკიცისა და თავდადების მაგალითებს უჩვენებდნენ ბრძოლაში.

ამ პერიოდისათვის თითქოს მხოლოდ შიმშილმარე მომენტის ამოცანებს შეიძლო მიეპყრო ახალგაზრდობის მთელი ძალე და ყურადღება. მაგრამ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა წინასწარ განსჭვრიტა სამოქალაქო ომის მოახლოებული დამთავრება, კომკავშირის III ყრილობაზე ახალგაზრდობის კავშირის მუთითა იმ ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტად მოუხდებოდათ მათ მუშაობა მომავალი ათეული წლების განმავლობაში.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი უდიდეს როლს აკეთებდა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს. „თქვენ უნდა იყოთ, — მისმართავდა ვ. ი. ლენინი კომკავშირელებს, — საზოგადოების პირველი მშენებელი-

ბი მშენებელთა იმ მილიონებს შორის, რომელთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ყოველი ახალგაზრდა ვაჟი და ყოველი ახალგაზრდა ქალი“.

ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა ახალგაზრდობას ესწავლა დაინებებით, დაუფლებოდა ცოდნებს და შეეერთებინა იგი მუშებისა და გლეხების სავითო შრომაში მონაწილეობასთან.

„ახალგაზრდობის კავშირის წევრად ყოფნა ნიშნავს, — ამბობდა ლენინი, — მთელი საქმე იყო წარმართო, რომ შენი შრომა, შენი ძალღონე საზოგადო საქმეს მოახმარო“.

ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა კომკავშირის არა მარტო თვითონ მოეხმარებინა მთელი ძალეები დიდი ბრძოლისათვის, არამედ გამხდარიყო ახალგაზრდობის ნამდვილი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, დამკვირვებელი ვეღვი, რომელიც ყოველგვარ მუშაობაში გამოდის პარტიის დახმარვად, ანგითარებს კომუნისტურ შეჯიბრებას, იხენს თავის ინიციატივას, თაოსნობას, კომკავშირის ყოველი ნაბიჯი, — მიუთითებდა ლენინი, — უნდა დაუმორჩილებდეს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ამასთან არა მშვიდობარტულ და ცხოვრებისაგან მოწყვეტილ აღზრდას, არამედ ახალი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის მშრომელი ხალხის ბრძოლასთან დაკავშირებულ აღზრდას.

ამხანაგმა სტალინმა შემოგობ განავითარა ლენინის გენერალური იდეები ჩვენი ქვეყნის ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის შესახებ. ამხანაგი სტალინი ამწავლის კომკავშირს აღზარდოს ახალგაზრდობა სიმწვლეებთან ბრძოლაში, მხნე, თავის საქმეში დარწმუნებულ ახალგაზრდებად, რომელიც არ უფრობის დამრკოლებებს და მხად არს ვადლახის ყოველგვარი სიმწვლეები მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენ არ შეგვიძლია, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — დავემსგავსოთ დაუძლურებულ აღაშთანებს, რომლებიც გაუტრბობ სიმწვლეებს და ეძებენ ადვილ სამუშაოს. სიმწვლეში სწორედ იმისათვის არსებობდნენ, რომ შეებრძოლო მათ და დასძლიო ისინი“.

ვ. ი. ლენინისა და ი. შ. სტალინის გენერალური მითითებათა განხორციელებით ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა დარწმუნებით და განუტხრეულ მიდის დიდი მიზნისაკენ — კომუნისტური გამარჯვებისაკენ.

# შემთხვევა

# კაფეში



ნახ. ა. ბანძელიძის

მუსიკის აკორდები არწვედნენ ჰაერს. სიგარის კვამლი ოდნავ მოსჩანდა ნახევრად შიშველ მოცეკვავეთა ფიგურები. ყველგან თეთრკანიანები ისხდნენ. მხოლოდ ერთ კუთხეში მღვარი პატარა მაგიდასთან ხუჭუტომიანი ზანგი ჯო და თეთრკანიანი ფელიქსი საუბრობდნენ და თან კლიდნენ ლულით საეხე ქიქებს.

— ჯო, — თქვა თეთრკანიანმა, — გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლებს... სიცილაში ორჯერ გადამარჩინე, ორჯერ ჩაგხელდა სიყვდილმა ჩემი გულსათვის ვაქავურ თვალებში. გაუმარჯოს ჩვენს მწარე. მაგრამ მაინც სახარტულით საეხე პავშვიძის!

— დავლით, ფელიქს, სიცილისათვის, ჩვენი მეგობრობისათვის, მშვიდობის მოყვარე ხალხებისათვის! ახლა კი წაგიდეთ. ფელიქს, ხათრი ვერ გაგიტეხე, თორემ არ უნდა შემოგყოლოდი. ხომ ხედავ, ჩემს მეტი ზანგი აქ არავინაა. გული მიგრონობს, შეურაცხყოფას მოგაყენებენ.

— ცოტა ხნით კიდევ დაჯექი ჯო, თუ ჩემი სიყვარული გაქვს! ვალდებრძელოთ ჩვენი უმღმევიარე მეგობრები. თავისუფლების მოყვარე ამერიკელები! — ჯომ ქიქა შეასესო, სიგარის კვამლი ნაპროლობზევი ხელით გაჰფანტა და თქვა:

— გაუმარჯოს უმღმევიარე ხალხს, თავისუფლების მოყვარე ამერიკელებს! მართლა, რამდენჯერ მინდოთა მეითობა, სად არის შენი ძმა, კიდევ უმღმევიარაა?

— ძე და, ჩემს ძმას უსიამოვნება მოგვიყვიადა ერთმანეთთან. ჯო, სწორედ იმიტომ, რომ სამუშაო იშოვნა.

მათი საუბარი იცხვით ვალეშლიმა ცალთვალა ამხამა შეწყვიტა:

— შენ, მურდალო ლორო! ეან მოგცა აქ შემოსვლის უფლება!? გათორიე აქედან! — დაიღრიალა მან. ჯოს სასიქ ქიქა გამოსტაცა ხელიდან და ლული სახეში შეასხა.

ჯოს თვალებიდან ნაპრწყლები გადმოსცივიდა. მისი ფოლადის ტანი წუთით მოირკალა და... ცალთვალა ამხამი იატაკზე გაცურდა. ის ასევე მოექცა მეორეს, მესამეს, მეოთხეს... ყველას, ვინც კი ამხამის მოსამმარებლად მოიწვედა.

ჯანის ხმა რევოლვერის ხმამ დაჰფარა. ზანგი შებარბაცდა და მაგიდებს შორის წაიქცა.

ფელიქსი გამოერეკა, მის წინ მაღალი მამაკაცი იდგა რევოლვერით ხელში. მკლავი მოღუნა და მთელი ძალით გაართყა ჯოს მკველას ნიკაში.

ამხამი თავით დაეჯახა კედელს და შეტორტმანდა.

ირწეროდა ჭერი. ტოკაედა ელნათურები.

ლუდის ჯამში ხრილაედა მოკიდებული სიგარა.

ერთი წუთიც, და მთელი კაფე დაესია ფელიქსს. დარტყმებისაგან ძირს წაქცეულს უწყალოდ სცემლა ყველა — მუმტებით, ჯოხებით და ლუდის ჯამებითაც კი.

პოლისმენის შემოსვლამ გამოაფხიზლა ისინი.

წაქცეულს მოსცილდნენ ყვირილით: „მოჰკალით! მან ზანგის გულისათვის შეურაცხყოფა მოაყენა ჩვენი უზნის აგენტას“. — და თან ხელით ფელიქსზე აჩვენებდნენ.

პოლისმენი მივიდა, თეთრკანიანს ხელი ჩაავლო საყელში და ზუნე წამოაყენა. შემდეგ გაოცებული თვალებით სახეში ჩააშტერდა და შეჰყვირა:

— ეს ხომ ჩემი ძმაა... ფელიქს!..

— არა, შენ არა ხარ ჩემი ძმა! ჩემი ძმა უკვე მოჰკლეს! — დიღმულა ფელიქსმა, რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და სისხლში მკურავ ჯოს წინ დაეცა.

გოლა რხიძე



## მშვიდობისათვის ბრძოლა—ბავშვთა ბედნიერებისათვის ბრძოლაა

**მ**ეტი წელი გავიდა ომის დამთავრების დღიდან, ათასობით დედები ჯერ კიდევ დასტირიათ ომში დაღუპულ შვილებს. გაღაბნულ ველებს კიდევ აჩნია ომის ნაკვალევი. ომის ცეცხლით გადამწვარ ქალაქებს ხარაზოების ტყე ფარავს. ქარიშხლის შემდეგ წამომილი ახალგაზრდა ბავშვები მხოლოდ პირველ ნაყოფს იძლევიან. კაცობრიობის უბიძგოებელი მტრები—უოცობრივად ყაჩაღები და მათი დაშვებით კი ახალ სისხლისმღვრელ ომს აწაღებენ. ისინი სისხლისმორევში აწაღებენ თავისუფლებისმოყვარე კორეულ ხალხს. ამერიკული თვითმფრინავები ყოველდღიურად ტონობით ყუმბარებს აყრიან მშვიდობიან მოსახლეობას. ცას სწვდება უღედამაოდ დარჩენილი უმწერო ბავშვების ტირილი, ქალებისა და მოხუცების კენკნა-გოდება. გადამწვარი სახლები, ფაბრიკები, ქარხნები, სკოლები, საავადმყოფოები, ბაზისი, თამბაქოს, ბონიჯის გადარუჯული პლანტაციები და ყანები, ძუძუმწოვარა ბავშვები, რომლებიც მკვდარი დედების მკერდს ჩაჰკვირან, უხეღვრევისაგან გონებადაკარგული დედა, რომელსაც ხელში შეკვლია შვილის გაცივებული გვიამ უჭირავს — აი ამერიკელთა ნამოქმედარი კორეაში.

საბჭოთა ხალხთან ერთად, მსოფლიოს მილიონობით ადამიანები მოითხოვენ კორეაში ამერიკელთა ბოროტმოქმედების შეწყვეტას, მოითხოვენ მშვიდობას კორეელი ხალხისათვის, მშვიდობას მთელი კაცობრიობისათვის.

მშვიდობისათვის წარმოებულ გიგანტურ ბრძოლაში კაცობრიობა იცავს თავის მომა-

ვალს, ყველაზე ძვირფასს, — ბავშვთა სიცოცხლესა და ბედნიერებას.

„მშვიდობა ჩვენი ბავშვებისათვის!“ — ასეთი ლოზუნგით ჩატარდა მიმდინარე წლის 1-ლ ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. მსოფლიოს 37 ქვეყანაში შეიქმნა ბავშვთა დაცვის ნაციონალური კომიტეტები; ისინი მიზნად ისახავენ აიძულონ თავიანთი ქვეყნის ბურჟუაზიული მთავრობები შეამცირონ სამხედრო ბიუჯეტი, გამოყონ სახსრები ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობისათვის, მიალწიონ იმას, რომ ყოველ ბავშვამდე დაიყვანონ სიმართლე საბჭოთა ქვეყნის შესახებ, იმ ქვეყნების შესახებ, სადაც ხალხები თვითონ განაგებენ თავიანთ ბედს. ეს კი მსოფლიოს მომავალი თაობის ხსენისათვის ბრძოლას ნიშნავს.

თვითონ ბავშვებიც იმალევენ ხმას ომის წინააღმდეგ. მშვიდობის დასაცავად გამართულ დემონსტრაციებზე პატარები უფროსებთან ერთად გამოდიან. ბავშვების მიერ იქნა შეგროვილი ათიათასობით ხელმოწერა სტოკჰოლმის სამშვიდობო მოწოდებაზე, ისინი გამამხნეველი წერილებით მიმართავენ ვადიკულ მშუებს. „მამაჩემო დედაჩემო! მე და ჩემმა დამ მამას ვუთხარით, რომ ჩვენ პირობას ვდებთ არ ვიტყვიან, არ მოვიტხოვთ პური, თუნდაც ძალზე მოგვმეფდეს, ოღონდ არ გადმოტყვიანთ იარაღი ამერიკული გემებიდან, იარაღი ხომ ომი; დაე, გემები უკან გაბრუნდნენ და იარაღი ეანგმა დაფაროს. ჩვენ ყველას — მე, დედას და პატარა დას არ გვინდა ომი, ჩვენ გვინდა

მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა!“ — ასე სწერდა ერთი პატარა ბიჭუნა იტალიის გაფიცულ დოკერებს, რომლებმაც უარი გახატა მათ დადოქტორთა თათ გემებიდან ამერიკული იარაღი.

მშვიდობისათვის მებრძოლ ბავშვთა პირველ რიგებში საბჭოთა ბავშვები ღვანან. სახლგარეეთელი ბავშვები ათასობით წერილებს წერენ თავიანთ საბჭოთა მეგობრებს. მშვიდობის მტრების წინააღმდეგ, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში ისინი ჩვენი პიონერებისაგან იღებენ აჯაღიბს.

16 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია. კონფერენცია მუშაობის პერიოდში უთვალავ წერილებს ღებულობდა ჩვენი გვეყნის ყოველი კუთხიდან. უფროსთა წერილებთან ერთად ძრავლად იყო ბავშვების მისასალმებელი წერილებიც. ნორჩი პატრიოტები მოუწოდებდნენ თავიანთ დედებსა და მამებს, უფროს დებსა და ძმებს მშვიდობის დასაცავად. მზიური საქართველოს დედაქალაქის—თბილისის პიონერებმა, რომლებმაც კონფერენციისადმი მიძღვნილ საქალაქო შეკრებაზე მოიყარეს თავი, შემდეგი ამაღლებელი სიტყვებით მიმართეს კონფერენციის მონაწილეებს: „საბჭოთა ბავშვების ბავშვები მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ბავშვები ვართ. სამშობლომ, ბოლშევიკურმა პარტიამ, დიდმა სტალინმა ფართოდ გავავისხსა ბედნიერების ნათელი გზა, და იმ წუთებში, როდესაც ვეცმის ახალი ომის გამაღებელია სახაროელ ზრახვების შესახებ, ჩვენი ფიქრი და გრძნობა მიმართულია საყვარელ სამშობლოსადმი. იმედის



მწარედ სტირიან უსახლკაროდ დარჩენილი კორეელი ბაკ ლი ოკი და მისი შვილი კიმ პენ გუი. მათი სახლი ამერიკულმა ფეითმფრინავებმა ნანგრევებად აქციეს.

მტკიცე გრძნობით შევეუბრებთ მას, მის ხალხს, საყვარელ ბელადს, დიდ სტალინს, ისინი დაგვიცავენ ჩვენ!

ჩვენც თბილისელი პიონერები ჩვენს ნორჩ ხმას ვუერთებთ საბჭოთა ხალხის შეძახილს: მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე! ძირს ომის გამაღებელი! ჩვენი ვისწავლით საუკეთესოდ, ვისწავლით ფრიალზე და ამით შევიტანთ ჩვენს წვლილს მშვიდობისათვის ბრძოლაში!

საბჭოთა ბავშვებთან ერთად, მსოფლიოს ყველა ბავშვები იმედის თვალთ შემოპყრებენ მშვიდობის ბურჯს, ჩვენს დიდ სამშობლოს, მსოფლიოს მშრომელი კაცობრიობის მხსნელს დიდ სტალინს, რადგან სტალინი არის მშვიდობისათვის დაუფლავი ბრძოლის მეთაური; სადაც სტალინი იმ მშვიდობაა.

ბ. შვილი



აი თქვენ ზედეთ დღის ვაციებულ მკერდზე ჩახუტებულ მატარა კორეულ ბავშვს. იგი ამერიკელმა კაცისმკვლელებმა დააოხლეს.



კახეთში ვარ. დავიარე  
 სიღნაღი და ყვარელი,  
 დიდებული წინანდალი,  
 თელავი საყვარელი,  
 კარდანახი, გურჯაანი  
 მწვანე ზღვებამ ქცეული...  
 რქაწითელით, საფერავით  
 ღვივის ნაფარეული!  
 ჰა, კლარა ალავერდი,  
 კახთა ძველი დიდება,  
 ბევრჯერ რომ აუცდენია  
 ყიშთა შემობინდება.  
 ბევრის ნახვა, ბევრის ხილვა  
 თვალს არ შეუგვიანდა:  
 რაოდენ ფიქრს აღძრავს გრემი,  
 იყალთო და შუამთა.

მოდუდუნებს ალაზანი,  
 მოიმღერის დაბალ ხმით,  
 ნაპირს აღხენს ხოხობი და  
 ტალღას — ქრელი კალმახი.  
 ვით არ ვაქო ეს შირაქი  
 გულის მომღიზინებელი —  
 ქართული ცხვრის იალაღი,  
 ქართულ ხორბლის ბედელი!  
 ოროველა ისმის სადღაც,  
 ისმის ძველი ნადური,  
 საგმიროს და სასახლოს  
 შიირს ამბობს ფანდური.  
 ეს ჰიმნია შემოდგომის,  
 ეს მოსძახის ზვარი ზვარს:  
 — რომ მღერიან, გმირებია  
 ამ დიადი მხარისა!

კახეთში ვარ. თვალს ჰზიბლავენ  
 ახალქართულ ფერებით —  
 ლაქვარდების ოკეანე  
 და ხავერდის ტევრები!

პეტე მენელი







# ულუკმაპური ჟანი



პოლ-ჟიან ჰამიორი

ნ ა წ ვ ე ტ ი

ნან. ა. კანდელაკისა

ცამეტი წლის წინათ ვარდაიცვალა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე რევოლუციონერი, მწერალი პოლ-ჟიან კუტიურე. იგი დაიბადა 1892 წლის 8 იანვარს, ქალაქ პარიზში, მსახიობის ოჯახში. მას ბავშვობიდანვე აღიერა სიყვარული ზელოვნებისა და ლიტერატურისადმი.

იგი წერდა ნარკვევებს, ლექსებს, ნოველებს, პიესებსა და რომანებს. მის კალამს ეუთვნის შემდეგი შრომები: „ჯარისკაცის ომი“, „შეგებულებაში“, „სოციალისტური ცამეტი სიმღერა“, „ბრძოლის ბალი“, „შოკოლეტის ბავშვობასა და ქაბუკოსზე“, „უბედურება იყო ახალგაზრდა“ და სხვა.

პოლ-ჟიან კუტიურე იყო საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი, მან მრავალი ნაწარმოები უძღვნა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებას, ესენია: „ერთი თვე წითელ მოსკოვში“, „ახალი ცხოვრების მშენებლობა“, „ინდუსტრიული გვიანობა“ და სხვა. იგი წერდა აგრეთვე ბავშვებისათვის. თავის მოთხრობაში „ულუკმაპური ჟანი“, კუტიურე აგვიწერს პირველი მსოფლიო ომის პერიოდის კაპიტალისტური საფრანგეთის ბავშვების გაქირავებულ მღვანარეობას. პოლ-ჟიან კუტიურე ვარდაიცვალა 1937 წლის 10 ოქტომბერს, პარიზში.

ეს იყო პატარა ბიჭი, რომელსაც ეძახდნენ ულუკმაპური ჟანი. შენ რომ გეხახა იგი, გაეციერადებოდა რატომ ეძახდნენ მას ულუკმაპური ჟანს—მას ხომ ზელში ხანდახან პურის ქერქები ექირა.

მას ეძახდნენ ულუკმაპური ჟანი იმიტომ, რომ მისი ერთადერთი საქმელი ზეული პური იყო—არაფერი ჰქონდა პურზე მისაყოლებელი. იგი მეტად ღარიბი იყო. და მას ულუკმაპურის ეძახდნენ იმიტომ, რომ პურის გარდა საქმელად არაფერი ჰქონდა.

ისე განწყობილი იყო ულუკმაპური ჟანის ცხოვრება, რომ მას არასოდეს არ გაუღიმა და არ გაუცინია.

იშვიათია, რომ პატარა ბიჭმა არ გაიღიმოს, არ გაიცინოს... მაგრამ ეს ასე იყო.

ჟანი ქერა ბიჭუნა იყო. ჰქონდა პატარა, ოდნავ აწეული ცხვირი, ცისფერი თვალები, შავი წინსაფარი და ყვითელი შარვალი ეცვა. იგი არ მუშაობდა იმიტომ, რომ არ ჰქონდა სამუშაო, არ დადგოდა სკოლაში იმიტომ, რომ უნდა მოეველო ფილტვებით ავადმყოფი დედისათვის, რომელიც ცხოვრობდა ერთ ეიწორ ოთახში, სადაც სამ ღლეში ერთხელ თუ ინებოდა ცეცხლი.

მამამისი შვეებულების შემდეგ ომიდან აღარ დაბრუნებულა.

შვეებულებაში ყოფნის დროს მამამ შვილს დაუტოვა ალუმინის ბუქედი, რომლის შიგნიდან ამოჭრილი იყო წარწერა—„ვერდენი“.

ეს ამბავი ზღებოდა 1917 წელს, როცა ომი მძვინვარებდა, ჩრდილოეთის ერთ პატარა სოფელში. მამის ულუკმაპური ჟანი 10 წლისა იყო.

ზამთრის ერთ საღამოს, როდესაც ჟანი პურის ქერქებით შინ დახატუნდა, ავადმყოფი დედას ირგვლივ ბევრი ზალი დაინახა, მღვდელი და სახლის პატრონი ანგარიშობდნენ რამდენად გაიყიდებოდა ლოგინი და ლუმელი, რომ აედოთ ბინისა და წირვის ქირა... ეს იყო შობასაღამოს, როდესაც ბავშვები სანთლებით განათებულ ნაძვის ხეების ქვეშ დებულობდნენ მშვენიერ საჩუქრებს, სასიამოვნო თაიგულებს, შაქრყინულს, კონფეტებსა და ტიფინებს. ჟანი ჩამოჯდა ქვაზე, კარის წინ, ბევრი იტირა, დიდხანს იტირა და როცა ტირილით იჯერა გული, ადგა, რადგან ძლიერ სციოდა და დიწყო აწეთიქით სიარული, არცეი იცოდა რისთვის.

სოფელი განახევრებული იყო, ომს სრულიად გვენადგურებინა ის... სახლის სასურავები ყირამალა იდგა, ხოლო ბუხრის წარჩენებს ისეთი სახე ჰქონდათ, გეგონებოდათ ცას უმიზნებენო.

ჟანი ყოველდღე ამ სოფლის გზით დადიოდა, მან იცოდა ყველა დანგრეული სარდაფი, სადაც ნახულობდა ცარიელ ბოთლებს, ნახევრად დამწვარ შემას, კონსერ-



ვის დამტყრეულ ყოლოფებს, დახეულ ფოტოგრაფიულ სურათებს, მუსწარადებსა და ყველა სახის არაჩვეულებრივ ნივთებს...

ამ დამეს ქანი არისდ შეჩერებულა...  
სახლის კედლები დასციხონდენ ქანს, — მათ ისეთი გამოხატულება ჰქონდათ, თითქოს ქანის თავზე ჩამონგრევა სურდათ. სარდაფები კი თითქოს წამოსწევდნენ წინ თავიანთ კბეებს და ებატებებოდნენ ქანს, რათა გამოთბარიყო...

ქანს სრულიად არ ეშინოდა ღამის, იგი არ სტყენდა, რომ თავი გვემხნევიდა. განაგრძობდა გზას უფოყმანოდ სოფლის ბოლომდის, სადაც გზები ერთმანეთს კვეთდნენ.

მიდიოდა რა წინ, შეამჩნია ქერდი მონადირე, რომელიც ქანის დახახვანე შეწუხდა და გაიქცა...

ქანი გაჩერდა, ჩამოჯდა მესამე ნომერ საკილომეტრო ბოძზე და დაიწყო თვალთვალი...

ქანის წინ გადაიშალა ყოფილი ქარხლის მიხორი, ვახათებული ამოშავალი მთვართი. მის შუქზე ქანმა შეამჩნია ტყე, რომელიც ომს გაეკავა.

როდესაც მოიწყენდა, ქანი მიდიოდა მინდორში, სადაც მას ყოველთვის მტენარეები და ცხოველები შეგობრობას უწყევდნენ...

ზაფხულობით ქანი ჩაწვებოდა მწვანე ბალახებში, ან კიდეც ჰურის ცხელ ყანაში და თამაშობდა კალეებთან; ხოლო გაზაფხულზე კი მუსიკოს პრიკინებთან. ზამთრობით ღრუბლებში აკვირდებოდა ყანჩების, ტოროლებისა და იხვების დიდ გაფრენებს, რომლებიც ზამთრობით მიდიან სამოგზაუროდ...

იმ საღამოს ისეთი სიცივე იყო, ისეთი სიცივე, რომ როგორც არ უნდა გაეხედა მას პაერში, მინც ვერაფერს ამჩნევდა, გარდა ვარსკვლავებისა, რომლებიც დროგამოშვებით აღებდნენ და ხუჭუქდნენ თვალებს.

ქანმა სინანულით ღრმად ამოიოხრა, რადგან მას ეხლა არ შეეძლო წასულიყო და კალეებთან ეთამაშნა. ამოიოხრა თუ არა, ეს-ეს იყო როგორც გაყინული ბალახები შეარხისა და ქარხანი მინდვრიდან მოქნილი ნახტომით ქვაფენილზე ქანის წინ გადმოხტა. ეს იყო კურდღელი...

ქანმა შეხედა კურდღელს ისე, რომ არც კი განძრეულა.

ყურბაქვეტილი კურდღელი, დარწმუნდა თუ არა ქანის უმოძრაობაში, გაჩერდა, მაგრამ გასაქცევად მზად იყო.

როცა კურდღელი მართლაც დარწმუნდა ქანის უმოძრაობაში, დაჯდა, წინა თათები მტელის ქვეშ წაიღო, რომ შეენარჩუნებინა სიბზო, ყურები აღმაციკრად აღუშვა, რომ ქანის გვერდით თავისუფლად მოთავსებულყო და ეუბნება:

— გამძარცვობა, ქანი!

მართალია კურდღლები საერთოდ არ ლაპარაკობენ, მაგრამ ეს ალბათ იმიტომ ხდებოდა, რომ მათ საამისოდ დროს არ აძლევდნენ... ამინებენ მათ, ან კიდეც ნადირობენ მათზე. იმიტომ არის, რომ კურდღლები არ ენდობიან კაცებს და თვით პატარა ბიჭუნებსაც კი. აი რატომ აქეთ კურდღლებს სიმხდალის საშინელი რეპუტაცია.

მიუხედავად ამისა, კურდღლები უფრო საყურადღებო ცხოველები არიან, ვიდრე კატები.

ქანი იხდის ქედს და ეუბნება:

— ვაგამარჯოს, კურდღელო! კურდღელი კმაყოფილების ნიშნად აცმაცუნებს უღვაშებს, აბრუნებს თავს მთვარის მხარეზე და ამბობს:

— ქანი! ამ მონადირის ვაგლებით შენ ეხლა დიდი სამსახური გაუწიე მინდვრისა და ტყის ცხოველებს... ჩვენ ნათელი ღამე გვაქვს... შენ გინდა ჩვენთან გასეირნება?

— მე თანახმა ვარ, კურდღელო, მაგრამ ვერ შეგპირდები ვირბინო შენსავე სწრაფად, — მიუგო ქანმა.

ამ სიტყვებზე კურდღელმა სიცილი დაიწყო...

— ვე ვითხრა, რომ შენი რბენა მინდა და ამავე დროს ჩემი თავიც დავდალო, რომ ხვალ სოფლის პირველი ლეკვის მიერ ვიწვე დაღვჯილი! მისმინე, ქანი! დღეს მინდვრის ცხოველებმა გადასწყვიტეს ამოიჩიონ ადამიანთა ისეთი შვილი, რომელსაც მინდვრის ცხოველები არასოდეს მოუყ...



ლაეს, რათა მას აჩვენონ უცნაური რამ. მშრომელმა ადამიანმა უნდა ისწავლოს როგორ გახდეს ძლიერი და თავისუფალი. მამა-შენი იმში დაიღუპა, დედაშენი კი ძლიერ ავად არის, ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანები იჯერ კიდევ არ არიან თავისუფალნი და ძლიერნი. ამიტომ არის, რომ შენ არ გააცილი-მია და არ გაგიცინია. როდესაც ადამიანები განთავისუფლდებიან და გააღვირდებიან, ერთმანეთს არ მიაყენებენ ზიანს, მაშინ ისინი მინდერის ცხოველებსაც არ ახლებენ ხელს...

— ეან! სწორედ დღეს უნდა გაიგო შენ სიმართლე და შეასწავლო იგი ყველას, ვინც ყველაზე უფრო იტანჯება. მაშინ, ჩემო ეან, პირველად გაილიმებ შენც ამ ტანჯულს ცხოვრებაში.

დაიცა! მე ვხლავე მოეძებნი ჩემს ჰაერო-პლანს...

ამ დროს კურდღელი აკეთებს ნახტომს და იმალება ჰარხლის მინდორში.

კურდღლის ამ სიტყვებმა ეანი ძლიერ გა-ნაცვიფრა. მას ვერ წარმოედგინა, როგორ გაფრინდებოდა ჰაეროპლანით. შენც ძლიერ გაგიკვირდებოდა ჩემო მკითხველო, რადგან არასოდეს, არასოდეს ისტორიაში დღევან-დლამდის არ მომხდარა ის ამბავი, რომ ცხო-ველები ჰაეროპლანით გაფრინდებიყვნენ.

ეანი აღფრთოვანა იდგამ, რომ იგი გაფ-რინდება იქ, სადაც დაფრინავენ ყანჩები, ტოროლები, გარეული იხვები; იგი არ კარ-გავდა იმედს თვით ვარსკვლავებამდის ასუ-ლიყო.

— კატშუიკ! კატშუიკ... ვრუუ, ვრუუ!...

ის-ის იყო ოცი კაკები მიფრინდა და დას-ხდნენ ეანის წინ. ესენი იყვნენ ნაცრისფერი და ლურჯი კაკები, რომელთაც გულზე ლა-მაზი წითელი ნალები ჰქონდათ... ისინი მო-იყვანა დედა-კაკებმა.

— კატშუიკ! კატშუიკ! გამარჯობა, ეან! — გაგიმარჯოთ, კაკებო! — მიუღო ეანმა. ეანმა ვაიფიქრა, რომ ასეთ სიცივეში კაკ-ბები მოშივებულნი იქნებიანო, ამოიღო პუ-რის ნამცეცები და მიაწოდა მათ.

ამ დროს კურდღელიც გადმოხტა ჰარხლის მინდორიდან და მიუახლოვდა ეანს.

— კიდევ ერთი წუთიც და ვაფრინდე-ბით ჩემი ჰაეროპლანით, — უთხრა კურდ-ღელმა.

ეანი ეძებდა ჰაეროპლანს, იხედებოდა ჰა-ერში, მიწაზე, მარჯვნივ, მარცხნივ, უკან, მაგრამ ამოღ... იგი ვერაფერს ხედავდა, ჩე-მო მკითხველო! შენ, რომ მის ადგილზე ყო-ფილიყავი, ძლიერ გაგიკვირდებოდა. ეანი კიდევ უფრო გამცვიფრდა, როდესაც დაინახა, რომ კურდღელმა წინა თათებით მოიძრო ყურები, რომლის ბოლოები მიაწე-ბა ერთმანეთს. და გააკეთა შესანიშნავი პრაქტიკა, რომელიც ნისკარტზე მიამაგრა ერთ დედა-კაკებს და ქვემოდან შებერვით მოიყვანა მოძრაობაში.

— ადი ამ ჰაეროპლანზე... — უთხრა კურდ-ღელმა.

ეანი თავსდება კაკებს შორის, რომლე-ბიც მას მოწიწებით უთმობენ ადგილს. თვი-თეულ კაკებს ნისკარტით უქირავს ჯოხების ბოლო. ეანი კი ზის შუა ადგილას ამ შე-ერთებულ ჯოხებზე.

კურდღელი აძლევს სიგნალს. კაკები კი შლიან ფრთებს და მიფრინავენ დიდ სი-მალღეზე.

ახლა ეანი თავს მსუბუქად გრძნობს — ქარის ქროლება ძლიერდება, ეანი კი მიფ-რინავს იმ გზით, სადაც დაფრინავენ წეროე-ბი, ტოროლები და ვარეული იხვები.

თარგმან სპარს. თურნავამ





პართული თეატრის განახლების 100 წლისთავის ბაშო

ხალხს, რომელმაც შექმნა განსაკვირვებელი სიმღერები, მოგვცა ხალხური პოეზიის იშვიათი მაგალიტები და ხუროთმოძღვრების სანიმუშო ძეგლები, ცხადია, ასეთ ერს ძველთაგანვე გახვითარებელი თეატრალური სანახაობა ექნებოდა.

„მე არ მაგერა, — წერდა 1924 წელს კოტე მარჯანიშვილი. — რომ ჩვენ არ გვქონდა ჩინა-სახი ჩვენი საკუთარი თეატრისა, ან იქნება ჩვენ კიდევ გვეზნდა მთლიანი და ორიგინალური თეატრი, რომელიც ჩვენ დაკარგეთ“.


ქართველი ხალხი თეატრალურ სანახაობას ძველათვე რომ იცნობდა, ეს თუნდაც იმით მტკიცდება, რომ სიტყვა „თეატრონი“ უძველეს ძეგლებში გვხვდება. „აბიბო ნეკრესელის წამებაში“ ვკითხვლობთ „თეატრონი დიდი იქმნა წინაშე მარხანისა“.

სანახაობათა შესახებ მოკვითხრობს თავის უცნაურ ქმნილებაში შოთა რუსთველი, როცა წერს:

„ესა თქვა და სისარულით თამაშობა აღიდადა,  
მეოსანი და მოშიითი უხმეს, პოვეს,  
რაცა სადა“.

უდავოა, რომ თეატრალურ სანახაობას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს და მის ფესვებს საუკუნეთა მიღმა ვხვდებით. საქმარისა აღინიშნოს, რომ მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სა-

ხალხო და სასახლოს თეატრები არსებობდა. მაგრამ ვარემუ მტრების განუწყვეტელმა თავდასაძებმა, როდესაც ქართველი ხალხი უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა შემოსეული თურქებისა და ირანელების წინააღმდეგ, დიდი ზიანი მიაყენა მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას. კრწანისის ტრაგედიის მსგავსი თავგანწირული ბრძოლების დროს, ცხადია, თეატრალური კულტურაც ჩაიფრეულებოდა.



გიორგი მერაბიშვილი

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თეატრალურ სანახაობას სისტემატური ხასიით აღარ ჰქონდა და კანტოკუნტად აქა-იქ შინაური წარმოდგენები თუ გაიმართებოდა.

1838 წლის აგვისტოში ვადასახლებიდან სამშობლოში ბრუნდება პოეტი და დრამატურგი გიორგი დავითისძე ერისთავი.

გიორგი ერისთავი ვადასახლებამდე ცნობილი იყო როგორც შინაური წარმოდგენების მონაწილე.

როდესაც ქართველ მოწინავე საზოგადოების წაწილში 1849 წელში დაიბადა აზრი მუდმივი თეატრის განახლების შესახებ, ამ საქმის მეთაურობა წილად ხვდა გიორგი ერისთავს, როგორც ყველაზე შესაფერ კანდიდატს. გიორგი ერისთავს ამ დროს უკვე დაწერილი ჰქონდა „შემოილი“ (1839 წ.), „დავა“ (1840 წ.) და „გაყრა“ (1849 წ.) და აგრეთვე ცნობილი იყო იგი როგორც შინაური წარმოდგენების ნიჭიერი მსახიობი.

ქართული რეალისტური თეატრის ისტორიაში 1850 წლის 2 იანვარი (ძვ. სტ.) ღირსშესანიშნავი თარიღია. ამ დღეს თბილისის გამზაზის დაბაზში (ახლა ვიყთა პირველი საშუალო სკოლა) ეპლაქის დარიბ ხალხსათვის, როგორც აფიშა იუწყებოდა, წარმოადგენილ იქნა „მიხეილ და ქრისტინე“ („ფრანკიულა“), ხოლო ქართულად გ. ერისთავის „გაყრით“, რომელშიც მიკერტუმე გასპარიჩის როლი შეასრულა დასის ხელმძღვანელმა და პიესის ავტორმა გიორგი ერისთავმა. ამ პირველ წარმოდგენას სიხარულით და აღტაცებით მიეგება ყველა, ვისაც სამშობლოს ძე-თილდობა და კულტურა აინტერესებდა, მაგრამ ამ პირთა შორის იყვნენ ისეთნი, რომლებიც პირველად აღმატებულ და მტრულად შეხედნენ გიორგი ერისთავის წამოწყებას.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე პლატონ იოსელიანი, რევან ერისთავი და ბატონიშვილი მარიამი, სასტიკად ილაშქრებდნენ თეატრის წინააღმდეგ და მას მავნე წამოწყებად თვლიდნენ. გიორგი ერისთავის ორგანიზატორულ ნიჭს უნდა მიეწიროს, რომ მეორე წარმოდგენაში, რომელიც იმავე წლის 3 მაისს დაიდგა, მონაწილეობას იღებდნენ თვით ეს მოწინააღმდეგენი — პლატონ იოსელიანი და რევან ერისთავი. ამ წარმოდგენების შემდეგ გიორგი ერისთავმა შეადგინა მუდმივი დასი და პირველი სეზონი 1851 წლის 1-ლ იანვარს გაიხსნა იმავე „გაყრით“. გიორგი ერისთავის დასში ირიცხებოდნენ ქალები: ანტონოვისა, აბრამიძისა, ბაფეროვისა, ნათიევისა, სააკაძისა, ტატიევისა, ჯომარჯიძისა; მამაკაცები: დვანაძე, რჩელუიშვილი, ტატიევი, კორძია, კიკნაძე, ელიოზოვი, მეიუარიანი და სხვები. თუ პირველ სეზონში დასი მხოლოდ თავისი ხელმძღვანელის პიესებს დგამდა, შემდეგში დასის წევრებს შორის გამოჩნდნენ ახალი დრამატურგები, რომელთაც დასის რეპერტუარი გაამდიდრეს ორიგინალური პიესებით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ზურაბ ან-

ტონოვი (მეჩიითიშვილი). ამ უკანასკნელის პიესები „მე მინდა ქნეინა გავხდე“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „გაზა ბიძიამ ცოლი შეირთო“, „მისი დაბნელება საქართველოში“, „ტყვით მოგზაურობა ლიტერატორთა“, „ორი მღვდელი ერთ ეზოში“ და თვით დასის ხელმძღვანელის გიორგი ერისთავის პიესები, აი რეპერტუარი გიორგი ერისთავის თეატრისა. თეატრი თანდათანობით ფეხზე დგებოდა, წელში იმართებოდა და ხელოვნების მწვერვალს იპყრობდა. გიორგი ერისთავის დასი დიდს სიყვარულით სარგებლობდა, მას ბევრი მომხრე, ჰყავდა, მაგრამ მტრებიც საკმაო რაოდენობით გამოუჩნდნენ. გიორგი ერისთავი თავის პიესებში სასტიკად ამართებდა თავადაწინაურობას, ჰგმობდა მის ფუქსავატობას, უნიათობას, უსუსურობას, სიხარბეს და სხვ. ასევე სასტიკად შოლტავდა ავტორი მექრთამე მოხელეებს, ბიუროკრატებს, ჩარჩიებსა და ვაჭრებს. მწვავე სატირა ცხადია მოწონებას ვერ ჰპოვებდა იმათში, ვისაც იგი ეხებოდა. მეფის მთავრობა წლიურად 4.000 მანეთს აძლევდა ქართულ დასს დოტაციის სახით. ცარიზმს სურდა თეატრი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებია, თეატრი კი მის მოხელეებს მწვავედ შოლტავდა. მოტყუვდა რა ანგარიშში, მეფის მთავრობამ თეატრს დოტაცია შეუწყვიტა და ისეთ პირობებში ჩააყენა, რომ გ. ერისთავის თეატრმა 1855 წლის დამდეგს თავისი არსებობა შეწყვიტა.

თეატრის მწუხრი დადგა, მაგრამ ნაღვერდული მანაც ბეუტავდა და ახლაც ცეცხლფარეშს ეკლავა აქ-იქ დროგამომწვებით ში-



ქართული თეატრის შენობა 1851 წელს.

ნაწერი წარმოდგენები იმართებოდა, მაგრამ მუდმივი დასის აღდგენის იდეა არასოდეს არ ჩამჭარალა და ქართველი ინტელიგენციის პროგრესული-დემოკრატიული ნაწილი დღის წესრიგში აყენებს თეატრის აღდგენის საკითხს. ილია ჭავჭავაძის, სერგეი მესხის, აკაკი წერეთლის, ნიკო ავალიშვილის, გიორგი თუმანიშვილის და სხვათა ინიციატივით 1879 წლის 1-ლ სექტემბერს კვლავ განახლდა პროფესიული დასი, რომელსაც ერთბა-

შად ისეთი ბუმბერაზი მსახიობნი გამოუჩნდნენ, როგორიც იყვნენ — მავო საფაროვი, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, კოტე ყვიფიანი და სხვა. მალე ამ დასს მიემატა სცენის ომეათი ოსტატი ლადო მესხიშვილი. დასი ღირსეულად ატარებდა გიორგი ერისთავის მიერ აღმართულ რეალისტურ თეატრის დროშას და თავის გარშემო ბევრი თეატრალური მსახიობი შემოიკრიბა — კოტე მესხი, ვალერიან გუნია, ელისაბედ ჩერტეხიშვილი, იფემია მესხი და სხვა.



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზის სხივები თეატრსაც უხვად მოეფინა და განახლა და აღორძინა ქართული თეატრი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ქართული თეატრალური კულტურის აღორძინება. ქართულ თეატრს საპატიო ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის სახელოვან თეატრებს შორის. რუსთაველის, შარჯანიშვილის სახელობის და ჩვენი სხვა თეატრების დადგმებით, მსახიობთა ოსტატობით ამაყობს ქართველი ხალხი. ჩვენი თეატრები ღირსეულად ასრულებენ თავიანთ დიდ ამოცანას — აღზარდონ მასები კომუნისმის სულისკვეთებით.

შობლიური დიდი სტალინის გენიით გაბრწყინებული ჩვენი ხალხი, აღორძინებული, განახლებული ქართული საბჭოთა თეატრი, ყოველთვის მაღლობით მოიგონებს თავის სახელოვან წინაპარს, რეალისტური თეატრის აღმდგენელს გიორგი ერისთავს და მის თეატრს.

ა. პეტროიკაშვილი

რუსთაველის სახელობის თეატრის შენობა

# მთიანობა ყურნობ კვირზე



## ს. ბერბაქი

ნახ. ა. ბანძელაძის

ექვს მთლიდა,  
შეიქნა განგაში,—  
ახი ფოტოგრაფი  
დაიქვს ქალაქში.  
ქებნიო მოილაღნენ,  
გაპირდა მიგნება—  
უცნობი  
ქაბუკი

ოცი წლის იქნება...  
საშუალო ტანისას  
და ჯმუხას ვეძებთ:  
ფუღბოლიკა—წოლებით,  
და კეპი—ვეგრდზე.  
ატარებს შრომის და  
თავდაცვის ნიშანს...  
მე არს—  
სხვა ნიშნებს

ვერ გეტყუთ მისასი  
ხევირ ქაბუკია  
ჯმუხა და სქელი,  
ხევირ ქაბუკს აცვია  
ფუღბოლიკა—ქრელი,  
ხევირსა აქვს შრომის და  
თავდაცვის ნიშანი—  
სხვა არა იცვია,  
მოდი და იცანი!  
ვის არის ევ ვაჟი,  
ვის გამოც განგაში,  
ვის გამოც ზეპირი  
ამტუღარა ქალაქში?!  
რა დამნაშავეა,  
რა საქმის ჩამაქენი?!  
აი, რას მუცუბოლნენ  
უცნობზე ამ დილით:  
თავზე საწაფხულო  
ეხერა კეპი;  
მგზავრობდა ქაბუკი  
ტრამვაის ვაგონით,  
ტრამვაის მაქანზე  
იღვა და თავისთვის  
მოტეხს ღლიღინება,  
სულ ახლად გაგონილს...

უცნობი იხილა:  
შენობის სარკმლიდან  
იფეთქა აღმა და—  
ხანძარი აფრინდა.  
ხალხი ქვაფენილზე  
შეგროვდა,  
ირევა.

სახლის სახურავქვეშ  
ხალხი იცქირება:  
მესუთე ხართულზე,  
პირველი ფანჯრიდან,  
ხელს იწვდის ვოგონი  
კვამლიდან,  
ხანძრიდან...

წუთი არ დაჰქარვა,  
წამით არ დაჰქარვა.—  
მუხზე ფუფუნაოლ  
ჩამოხტა მაქანიდან,  
ავტოს გადაუწრო.  
ეკვთა მუხზე  
და ზემოთ მიცოცავს  
საწეშიარ მიღზე.  
მესამე ხართული,  
მეთხე ხართული,  
მა, უკანსკელიც  
კვამლით დათალხული.  
მესუთე ხართული  
კვამლითა დანაქმული  
და ხანძარს სარკმელში  
გაუღის დგაფუნი.  
მიცოცავს.  
სარკმლამდე  
სულ ცოტა დარჩა.  
მა, შედგა კარნიზზე,  
და კვამლით არ ჩანს.  
ჩაავლო ხელები...  
გოგონას ემველა.  
ქალგამოღეული  
ახლა ძირს ემველა.  
მა, ხელი ჩაავლო  
კარნიზზე ავტორებს

რკინის აივნისკენ  
ერთურთზე მიჯრილს.  
აივნის ეწრაფვის,  
რკინის აივნამდე  
სულ თობი იქნება  
ბიჯი.

ხალხს დაუნახია  
ნამდვილად,  
ქვემოდან:  
უცნობი ქაბუკი  
ფხზე ძლივს დგებოდა.  
გზა რაც გაიარა,  
მედენი რჩებოდა...  
ნაბიჯი გაღაღვა.  
შეჩერდა.

ისვენებს,  
მა, აივნისც,  
წინ მიდის ისევე,  
რკინის მოაჯირზე  
გადაძრა ახლა,  
გაალო კარი და  
ოთახში გაქარა...  
გზას მტვერი ავარდა,—  
მანქანა მოაფრინავს,  
მე ცეცხლისმქრობელთა  
რამში ყოფილა.

ზარს რეკენ სმიერად,  
რეკენ გამაფრებით,  
მწკრივად ელვარებენ  
სპალინმის ჩაქნები.  
სპალინმის ჩაქნები,  
გრვინვა და განგაში...  
მუხზე მოაქციეს  
ხანძარი აღყაში—  
კიბემ ცა უწია,  
თი, ვთ ზღაპარში,  
ბრეწეტი აცვიათ  
და უცეს ცაში  
აუოცდნენ კაბეზე—  
კვამლი და აღში..



ხანძარი მინელდა,  
სუნი დგას დამწვარი,  
მილი კან შადრევნად  
გადმოჩქეფს წყალი.  
— მიშველეთ,  
გოგონა  
იხსენით  
ჩემი.—  
მესანძრე რაშმელთან  
შიიჭრა ქალი.  
არაო, —  
ბასუბოზს  
ხუფველა ერთხმად,—  
უკვე მოვიარეთ  
შენი ხაშთელი,

ეხლახან მოგჩხრიკეთ  
ხუთივე სართული  
და არსად გვინახავს  
გოგონა თქვენი!  
უფცრად,  
დამწვარი  
შენოზის ქაშკრიდან  
გამოჩნდა  
ერთი  
უცნობი ვაჟი, —  
თმებზემოტრუსული,  
კოპებზე სისხლითა,  
მოდის და ჭბუკრია  
მკლავებში ბავშვი.

გოგონა ატირდა  
და დედას ჩაეკრა,  
უცნობი რონოდას  
შეხატა ახლა,  
ჩრდილივით იელვა  
ტრამეის სარკმელთან,  
კეპი დაიწნია  
და ასე გაჰქრა.

ეტებს მილიცია,  
შეიქნა განგაში,  
და ფოტოგრაფებიც  
ეტებენ ქალაქში—  
ძებნით მოილაღნენ,  
გაპირდა მიგნება,  
უცნობი  
ქაბუჯა  
ოცი წლის იქნება.

საშუალო ტანისას  
და ჯშუხას ვეძებთ:  
ფუფქოლკა—წოლებით,  
და კეპი—გვერდზე.  
ატარებს შრომის და  
თავდაცვის ნიშანს...  
ეგ არის!  
ხხვა ნიშნებს  
ვერ გეტყუვით მისას!

ბევრი ქაბუჯია  
ჯშუხა და სქელი,  
ბევრ ქაბუჯს აცვია  
ფუფქოლკა—ქრელი.  
ბევრია გმირთა და  
ვაჟაცოთა ბაღალი.  
საგმირო საქმისთვის  
სუფველა  
შწაღ არი.

თარგმნა მურმან ლებანიძემ







# მათი აკვთი მთმკვთი

აბა დახედეთ რუკას და მიმოავლეთ გონების თვალი ჩვენს უზარმაზარ ღვთისმშობლოს ჩელუსკინის კონცხიდან ქალაქ ჟუჟაძემდე, ქალაქ კალინინგრადიდან დეკავეის კონცხამდე! — ფაბრიკებისა და ქარხნების, შვენიერობის, რკინიგზის მაგისტრალების, მაღაროებისა და ნავთსარეწებისა რა ურიცხვი ქსელოთაა იგი დაფარული.

განუწყვეტლივ გრავანებენ დახვეები, აგრეგატები, გუფუნებენ სამჭროები, დღეღამად მიმოჰქრებიან ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველ მხარეს სამგზავრო და სატვირთო მატარებლები. ყოველწლიურად აღიმართება ახალშენებლობათა სულ უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი ხარაჩოები. აღმავლობის გზით მიდის სოციალიზმის ქვეყნის ინდუსტრია. იგი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ძლიერებისა და კეთილდღეობის საძირკეა, კომუნისმის დიად საძირკეა ემსახურება.

ვინ ამოძრავებს ამ დახვეებს, ორთქლმავლებს, მანქანებს, ვინ დგას ახალშენებლობათა ცადაზიდულ ხარაჩოებზე, ვის გამოაქვს მიწის წიაღიდან მადნეული, ქვანახშირი, მარგანეცი, ვისი ხელით ამომდინარებს უწყვეტ ნაკადოდ ქაბურღილებიდან ნავთობი? — ყოველივე ამის შემოქმედნი არიან ადამიანები, მაგრამ არა უბრალო, არამედ ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი ადამიანები — მუშები.

ღლითილდვ იზრდება და ფართოვდება სოციალიზმის ქვეყნის ინდუსტრია, უზოგო-

ბესდება და სრულყოფილი ხდება საწარმოო ტექნიკა. ინდუსტრიის ეს შეუწელებელი ზრდა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მოითხოვს მუშა ხელს.

ფაბრიკა-ქარხნების რკინიგზის ტრანსპორტის, ნავთსარეწების, შვენიერობების კვალიფიციური მუშა ხელით შევსების საჭიერებას ემსახურებიან შრომითი რეზერვების საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები და რკინიგზის სახელოსნო სასწავლებლები.

ეს სკოლები და სასწავლებლები ათი წლის წინათ შეიქმნა დიდი სტალინის ინიციატივით. ეს სკოლები და სასწავლებლები არსებობენ სამქოთა კავშირის თითქმის ყველა მსხვილ სამრეწველო ქალაქში.

განვლილი ათი წლის მანძილზე აინიშნულმა სკოლებმა და სასწავლებლებმა მოამზადეს და ქვეყანას მისცეს ხუთ მილიონზე მეტი კვალიფიციური მუშა. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი შრომითი რეზერვების სისტემის სკოლებიდან და სასწავლებლებიდან ყოველწლიურად ღებულობს მნიშვნელოვან შევსებას.

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და რკინიგზის სახელოსნო სასწავლებლებში სწავლობენ ბედნიერი ქაბურღები და გოგონები. ისინი გარემოცული არიან პარტიისა და მთავრობის, პირადად დიდი სტალინის შრომათა მზრუნველობით. ამ სასწავლებლებებისა და სკოლებისათვის გამოყოფილია საუკეთესო შენობები, სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები უზოგო-

ველუფილია ვეგლზე თანამედროვე საწარ-  
მოა მოწყობილობით. მათ ჰყავთ საუკეთესო-  
სი, მაღალკვალიფიციური პედაგოგიური  
პერსონალი — ინჟინრები, ოსტატები. სწავ-  
ლება უფასოა. მოსწავლეები უზრუნველყო-  
ფილი არიან ბინით, ტახსაცმლით, ვეებით.  
სასწავლო პროგრამა ისეა შემუშავებული,  
რომ მოზარდი აქ არამარტო სპეციალურ  
კვალიფიკაციას იძენს, არამედ ღებულობს  
საერთო-ზოგად ვახათლებასაც. კაბუტები და  
გოგონები აქ იზრდებიან არა მარტო რომე-  
ლომე სპეციალობის მქონე მუშებად, არა-  
მედ ყოველმხრივ განვითარებულ, ზოგადი  
განათლების მქონე, სამშობლოს პატრიოტ,  
ფიზიკურად ჯანსაღ ადამიანებად.

ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზის  
ტრანსპორტის, შახტების ძუშითა დიდ რაოდ-  
ენობას შეადგენენ შრომითი რეზერვე-  
ბის სისტემის სასწავლებლებისა და სკო-  
ლების კურსდამთავრებულნი, რომლებ-  
მაც სტახანოვიტი, ნოვატორული შრომით  
ისახელეს თავი. შრავალი მათგანი საბჭოთა  
კავშირის ორდენებითა და მედლებითა და-  
ჯილდოებული. საქვეყნოდ ცნობილი გახ-  
და ამ სასწავლებლებისა და სკოლე-  
ბის კურსდამთავრებულთა: ხარატ რომან  
დენისოვის, მეტალურგების გენადი ფუკა-  
ლოვისა და ვიტალი მიხაილოვის, კბილან-  
მჭრელ ნინო ნახარაივის და სხვათა სახე-  
ლები, რომლებმაც წარმოებაში ნოვატორუ-

ლი შრომით სტალინური პრემიები და-  
სურეს.

ხალისიანი, სიხარულით საცხე ცხოვრე-  
ბით ცხოვრობენ შრომითი რეზერვების  
სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეე-  
ბი. მათს განკარგულებაშია კულტურის ათი  
სახლი, ათასზე მეტი კლუბი, ოთხი ათასზე-  
მეტი წითელი კუთხე, ბიბლიოთეკა, ორკეს-  
ტრი, სტადიონი.

შრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი,  
მომღერალი, სპორტსმენი გამოავლინეს ამ  
სასწავლებლებმა. ცნობილია მათი თვით-  
მოქმედი წრები, რომელთა გამოსვლებს  
აღტატებანი მოჰყავს მაცურებელი. მსარტო  
საქართველოს შრომითი რეზერვების სის-  
ტემის სკოლებისა და სასწავლებლების მო-  
სწავლეთა საუკეთესო თვითმოქმედმა წრეებ-  
მა ოთხჯერ მიიღეს მონაწილეობა მოსკოვში  
გამართულ თვითმოქმედი წრეების საკავში-  
რო დათვალერებაზე და ყოველთვის მად-  
ალი შეფასება მიიღეს. ისინი თავინთ ნაყო-  
ფიერ სწავლასა და შრომას ასე კარგად  
უთავსებენ გონებრივ გართობა-დასაღიჩეას.  
შრომამში მათ თავი ისახელეს. აი ამის მაგა-  
ლითი: განვლადი ათი წლის მანძილზე სა-  
ქართველოს შრომითი რეზერვების სასწავ-  
ლებლებისა და სკოლების მოსწავლეებმა სა-  
წარმოო სწავლების პროცესში ორმოცდა-  
ჩვიდმეტ მილიონზე მეტი მანეთის სამრეწ-  
ველო პროდუქტია გამოუშვეს.


ლამაზია, მიმზიდველია კომუნისზმის მომა-  
ველ ახალგაზრდა მშენებელთა ცხოვრება,  
სწავლა და მუშაობა. მათ აქვთ შესანიშნავი,  
ბრწყინვალე მომავალი.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი მათგან ყო-  
ველწლიურად ღირსეულ შეგვებას ღებუ-  
ლობს.



პირველ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის  
№ 11 ხანძარტრო სახელოსნო სასწავლებლის  
მოსწავლეთა მიერ ქვის მხატვრული დამუშავე-  
ბის პროცესს. სამჭროს ოსტატი ვ. ზაგარტონი  
(მარტნიდან მეორე) უჩვენებს მოსწავლელ ა. ჰა-  
რსიმძის ორნამენტების ამოჭრას ქვაზე.  
მეორე სურათს თქვენ ვადაყავხართ ზორს,  
საქართველოდან მრავალი ასეული კლომენტრის  
მანძილზე. აი, თათართა ავტონომიური საბჭოთა  
სოციალისტური რესპუბლიკა, ზედნოდოლის სა-  
ხელოსნო სასწავლებელი № 2. სახარატო სამჭ-  
რო, ოსტატი ნ. რამზნოვი (მარჯენი) დეაღდ-  
ბას აძლევს მოსწავლელ ვ. გროშევს. დაჯესთანაა  
მოსწავლელ ლ. ზოტოვი.

ლ. გვირობაძე





აქ მოთხოვნილია ამხავე ეხება  
ახლო წარსულს, როდესაც ჩი-  
ნეთში ხალხის მწავერდელი გო-  
მინდანური მოვარობა ბატონობდა.

პატარა ამხანაგებო, ეს ზღაპარი კი არა,  
ნამდვილი ამხავეია.

ეს მოხდა ჩინეთში. გვირს საო ერქვა.  
საო დაიბადა დიდი მდინარის იახგუცე-  
კიანგის ნაპირზე. თითხმეტი წლისა ბრინ-  
ჯის პლანტაციებში წაიღია სამუშაოდ. პა-  
ტარა საო დიდიდან საღამომდე წყალში  
მუშაობდა, მხოლოდ ბინდისას, საშინლად  
მოჭანცული, ბრუნდებოდა თავისი მშობ-  
ლების ღარიბ ქოხში, სადაც საკმლის ნამ-  
ცეცაც არ მოიპოვებოდა.

იფეთქა ეკონომიურმა კრიზისმა. საო  
უმუშევარი დაჩნდა. გაკირვებამ იძულებუ-  
ლი გახდა მშობლიურ სოფლიდან წასუ-  
ლიყო. საო საარსებო საშუალებათა საქმე-  
ნელად ქალაქისაკენ გაემართა. შანხაის ერთ-  
ერთ ფაბრიკაში იშოვა სამუშაო.

აქ საო გაეცნო კომუნისტ ამხანაგებს და  
მალე გაიგო რა არის კლასთა ბრძოლა;  
საომ შეიგნო, რომ საკუთრა ბრძოლა კაპი-  
ტალისტების, მმარცველებისა და უცხოელ-  
თა მძიმე უღლის გადასაფლებად.


მალე საო ჩინეთის კომუნისტური პარ-  
ტიის აქტიური წევრი გახდა.

ამ დროს შანხაიში უმუშევართა რიცხვი  
დღითი-დღე იზრდებოდა, ხოლო იმათ, ვი-  
საც ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა  
სამუშაო, თანდათან უმცირებდნენ ხელ-  
ფასს. ამის გამო ჩინეთის კომუნისტურმა  
პარტიამ შანხაის ქუჩებში მოაწყო გრან-  
დოზული დემონსტრაცია, რომლის აქტიუ-  
რი მონაწილე საოც იყო. უმუშევრები დე-  
მონსტრაციებზე პროტესტს გამოსთქვამდნენ  
თავიანთი მძიმე, გაჭირვებული ცხოვრების  
გამო. პოლიციამ ისინი ქალაქის ცენტრში  
შეიკრუ და შემდეგ ვერაგულად სროლა  
აუტუნა. ქუჩები დაჭრილებითა და დახო-  
ცილთა გვაშებით დაიფარა. დაიწყო მასობ-  
რივი დაპატიმრება. დემონსტრაციის აქტიუ-

რი მონაწილე საო, რამდენიმე ამხანაგთან  
ერთად მიიძალა, მაგრამ მცირე ხნის შემ-  
დეგ მათ ეს თავშესაფარი დასტოვეს და  
დაიწყეს პროპაგანდისტული მუშაობა. საო  
შეიძურეს. მისგან მოითხოვედნენ, რომ  
დაესახელებინა ამხანაგები და ეჩვენებინა  
საიდუმლო სტამბის ადგილი. უმოწყალოდ  
სცემდნენ, მაგრამ საო არაფერს ამბობდა.  
ცეცხლით ფეხებს უწვეავდნენ. ის მაინც ხმას  
არ იღებდა. დღითი-დღე წამება უფრო აუ-  
ტანელი ხდებოდა, მაგრამ საომ საიდუმლო  
შაინც არ გასცა. ერთ დღეს ღონებისდო  
საოს უსაშინელეს წამებას უმზადებდნენ.  
ამას თვითონაც კარგად ხედავდა. მაშინ, რომ  
არაფერი წამოსცდებოდა, საომ მაგიდსა-  
თან ჩაიჩოქა, თავი ოდნავ მალლა ასწია,  
პირი გაალო, ენა გარედ გამოჰყო და მსს  
კბილები მაგრად დააჭირა. შემდეგ მთე-  
ლი ძალ-ღონით ნიკაბი მაგიდას ისე დაარტყა,  
რომ კბილებით ენა გადაიკვეთა. საი-  
დუმლო შენახული იყო.

საო სიყვდილით დასაჯეს.

თარგმნა ფრანგულიდან ნათილა ჯიზლაქამე



# ოქროყანელი მკვლეტი



მთარ ჭლიძე

3 0 0 8

ნახ. ირ. არდიშვილისა.

მარტი დადგა. თოვლი დადნა,  
 ორთქლი ასდის სველ ყაშირებს,  
 მლო ქართლში გაზაფხული  
 ამოჩიტაეს ჭრელ ყვავილებს.  
 ჯაგის ძირას ნამდაყრილი  
 ია სუნთქავს ლურჯთვალდება,  
 კოჯრის ქარი მინდვრად უმღერს  
 გაზაფხულის უკვდავებას.  
 ბალახს თავზე ნამის მძივი  
 მოუგდია, როგორც ყვავილს,  
 თოვლისსაბანგადანდილი  
 ხარობს ველი ოქროყანის.  
 ხარობს ველი ნახამთრალი,  
 მზის ნუგბართი თმებე მიწა,  
 ნაგუბარში ჩადგა წყალი,  
 გუბეები ტბებად იქცა.  
 მინდორშია შაქრო-ბიჭვი  
 ადრიანად, სისხამ დილით,  
 და ყელსახვევს უშრიალბს  
 ქარი მკერდზე მივარდნილი.  
 თმებუქუჭა კრედს ენძელებს,  
 იებს ჰკონავს გასაყიდად;  
 კვირა დღეა. ჩვენმა შაქრომ  
 ქალაქს წასვლა გადასწყვიტა.  
 შავგერემაწმა, შავთვალბამ  
 სათიბ-სათიბ გადიარა,  
 ენძელების თაიგული  
 შეჭკრა დილაადრიანად.  
 დაჭრედს იებს, რომ მიჰყიდოს  
 თმებქალარა მაღალ ძიას,  
 სიცოცხლე რომ შეემატოს  
 ყვავილების მაღაზიას.

როცა შუშის ფართო თარო  
 ენძელებით აპრელდება,  
 ხალხს თვალს მოსჭრის სილამაზე,  
 ყველა მის წინ გაჩერდება.  
 ფიქრობს ბიჭი და კალათში  
 ყრის ყავილებს გამალებით,  
 ცრემლებს ღვრიან, ნამის ცრემლებს  
 მოწყვეტილი მინანები.  
 ჩამოჯდება შაქრო ქვაზე,  
 უცებ მწარედ დაღონდება,  
 სტალინგრადთან დაცემული  
 ტყილი მამა აგონდება.  
 წინ უდგება ბიჭს მშობელი,  
 გული სევდას აღარ იღვეს.  
 —ეჰ, საფლავი ახლოს იყოს,  
 დავაყრიდი ამ ყვავილებს...  
 სთქვა და გრძელი წამწამები  
 ლამის ცრემლით დაენისლა.  
 —რა მატირებს, ბალოი არ ვარ,  
 გუშინ გაგბდი ცამეტისა.  
 აცქერდება სავსე კალათს,  
 მწარე დარდი უნელდება.  
 ოქროყანელ ყმაწვილს ათრობს  
 ყვავილების სურნელბა.  
 წამოადგება. გზისკენ გასწევს,  
 თბილისისკენ მოდის მგზავრი,  
 ყაყაჩოსფერ ყელსახვევზე  
 ეხუტება კოჯრის ქარი.  
 გააშუქებს გულს ნუგეში,  
 გულს იმდე გააბრწყინებს,  
 ქალაქს ჩაეა, იქ იყიდის  
 რვეულებს და ახალ წიგნებს.

2.

შუშის ლურჯი, ფართო თარო  
ყვავილების სუნთქვას ელის,  
ხელგაშლილი ხედება დილით  
მგზავრს პროსპექტი რუსთაველის.  
აი, ხიდიც, შუის სხივებში  
მოჩანს, როგორც ოქროს ხიდი.  
ჟუკებ, ვიღაც შეაჩერებს  
შაქროს, ჰკითხავს:—როგორ ჰყიდი?  
ჰკითხავს და თან იის კონას  
მოწიწებით სწვდება ხელით,  
თვალცისფერი, კხატა გოგო  
დგას წითელი ყელსახვევით.  
—განა ვყიდი, სხვასთან მიმაქვს.  
იტყვის შაქრო და გოგონას  
გულკეთილად გაუღიმებს,  
უსახსოვრებს იის კონას.  
ხიდს გასცილდა. ესტუმრება  
ბიჭი მალე მაღალ ძიას,  
ცვარდაყრილი ყვავილებით  
გაუცოცხლებს მაღაზიას.  
მიდის შაქრო და გამწვლეებს  
გზაზე მზერას ვერ აშორებს,  
ვაიხედავს, პატარები  
ბაღებისკენ მიჰყავთ მშობლებს.  
ისევე მამა ახსენდება,  
წინ უდგება ყმაწვილს ის დრო,



როცა მშობელს ჰაწაწინა  
დაჰყევოდა მინდორ-მინდორ.  
სძინავს ახლა სტალინგრადთან,—  
ომში დასცეს მამამისი,  
მას ხსენება, მას დიდება,  
მას სახელი მარადისი.  
ახსენდება ტკბილი მამა,  
გული სეფდას აღარ იღვეს,  
— ეჰ, საფლავი ახლოს იყოს,  
დავაყრიდი ამ ყვავილებს.

3.

შინ ბრუნდება შაქრო-ბიჭი,  
თეთრი მტვერი ასდის შარას,  
მგზავრის თვალწინ ოქროყანის  
ყამირები გაღიშალა.  
დედაქალაქს დაუტოვა  
ყვავილები გაყიდული,  
თბილისის დარჩა იების და  
ენძელების თაიგული.

—

ტკბილი დედა, ქვრივი დედა  
წარბგახსნილი ხედება ყმაწვილს,  
ბიჭს ჩაჰკოცნის, ჩაიხუტებს  
შავგვრემანი დედაკაცი.  
ოქროყანის ნახანებებში  
დღეს დილიდან ხორბალს თესდა;  
იციის ბიჭმა და ამაყობს  
ასე გამრჯე რომ ჰყავს დედა.  
ქალი და კაცის საქმეც  
ენარჯვება დედაარწივს,  
ღირსიც არის, რომ ატაროს  
მან სახელი დედაკაცის.  
დიდ სამშობლოს ვაჟკაცს უზრდის,  
მამის კვალზე დადის ვაჟი.  
მის ოჯახშიც ანთებულა  
ჩაუმქრალი გარიტრაჟი.  
ახალ წიგნებს და რვეულებს  
კალათიდან იღებს შაქრო.  
რა ჩააქრობს ზღვა სიხარულს,  
დედის ღიმილს რა ჩააქრობს.


4.

გადახნეს მიწა ყამირი,  
მინდვრის დანახვა გალაღებს,  
ტრაქტორსმიბმული გუთანნი  
ბელტს ბელტზე გადაალაგებს.

ზოგ ბელტს რძინა ბალახი,  
 მინდვრის ყვავილი გაჰყვება,  
 მღერის ტალღები გგონია  
 დახულ ველს როცა გაჰხედავ.  
 თითქოს ლაგერადში მზის კალმით,  
 თითქოს მიწაზეც წერია:  
 „ეს წელი ჩვენი სამშობლოს  
 ომის შემდგომი წელია“.  
 ხორბლის სათესად გასულა  
 მინდორში დედა შაქროსი,  
 მზის გულზე გაჰხუნებია  
 ქვრივს შავი ტანისამოსი.  
 აჰა, გამოჩნდა სკოლიდან  
 შინ მიმავალი ყმაწვილიც,  
 გზას მოსდევს ჩაფიქრებულ  
 დარბაისელი კაცივით.  
 ჩაესმა შაქროს შორიდან  
 ტრაქტორის მძლავრი გუგუნნი,  
 უცებ, გზას მოსწყდა ფეხმარდი,  
 გაქანდა, როგორც შურდული.  
 მირბის ნაწვიმარ ყამირზე,  
 აგერ შეჩერდა ბუჩქებთან,  
 გრძნობდა მხურვალე ძარღვებში  
 სისხლი რა რივად უჩქეფდა.  
 ძირს ყვავილები გუნდ-გუნდად  
 ანთებულყვინენ ყამირზე,  
 ამ სილამაზის შემხედვარს  
 გულს სიხარული აგვისებს.  
 გაჩერდა, კრეფა დაუწყა  
 ბიჭმა ენძელებს, ნამიანს,  
 მას ყვავილები ახლაც ხომ  
 თბილისისაკენ არ მიაქვს?...  
 უცებ, სულ ახლოს მოესმა  
 ყმაწვილს ტრაქტორის გუგუნნი  
 და გული შეუფრთხილდა,  
 როგორც ბუდეში გუგული.  
 თითქოს დიდხინის ოცნება  
 დღეს აუსრულდა, დღეს ახდა:  
 — ჩემთან მოდიო ბიჭუნაკ...  
 თითქოს მანქანა ეძახდა.  
 მივიდა, ახლოს გაჩერდა,  
 უჩუმრად იდგა ის დიდხანს,  
 ტრაქტორის მზარზე წარწერა  
 ჩურჩულით ამოკითხა.  
 ზედ „სტალინგრადი“ ეწერა  
 მანქანას უდრეკ რკინისას;

სტალინგრადს შეენის სახელი  
 დაუძლეველი გმირისა.  
 იმ გმირ ქალაქთან დაეცა  
 ლომკაცი მამა შაქროსი,  
 იქ დაიმარხა, ტყვიისგან  
 დაცხრილულ ტანისამოსით.  
 ევებერთელა ტრაქტორის  
 მზარს „სტალინგრადი“ ეწერა,  
 მხურვალე გული შაქრო-ბიჭს  
 მანქანისაკენ ეწევა.  
 ცოცხალ ყვავილებს მიაყრის  
 და სიხარულით აღვისლი,  
 ვით მშობელ დედის კალთაში  
 ტრაქტორზე ჯდება ყმაწვილი.  
 მინდორს გაჰყვება გუგუნით  
 ძიას შეხედავს ის წამით,  
 შესძახებს: — ძიავ შენსავით  
 ტრაქტორისტობას ვისწავლი!

მას შემდეგ ოთხი წელია,  
 შაქროს აუხდა ოცნება,  
 ოქროყანელმა ბიჭუნამ  
 თავისი საქმე მოძებნა.  
 ახლა ველ-მინდვრებს ევლება  
 მისი ტრაქტორის ბორბალი,  
 რომ დაახვევოს ზღვასავით  
 ქართლში ქართული ხორბალი.  
 კომბაინს მართავს, როდესაც  
 მწიფდება პურის თაველი,  
 უყვარს ალალი შვილივით  
 ხალხს შაქრო ოქროყანელი.





გეოგრაფიული გარემოს გარდაქმნა და მისი შემდგომი გეგმაზომიერი დამორჩილება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ სამხრეთ-აღმოსავლეთის წარმოადგენს. წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის დიდი სტალინური გეგმა. ათასობით კილომეტრ მანძილზე იქმნება მინდორსაკავი ტყის ზოლები, რომლებიც უზრუნველყოფენ უხვ და მყარ მოსავლს. „დიდი ვოლგის“ პრობლემა და ქალაქ მოსკოვის გადაქცევა ხუთი ზღვის ნავსადგურად, უდაბნოების ათვისება, ახალი ქალაქების აღმოცენება და მრავალი სხვა სამუშაო ხალხს დაუცხრომელი შრომის ნაყოფია, შრომისა, რომელსაც წარმართავს ბოლშევიკური პარტია.

ბუნების გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა სსრ კავშირის მიწისტრთა საბჭოს დადგენილებები კუობიშევის, სტალინგრადის, კახოვეის ჰიდროელექტროსადგურებისა და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის შესახებ. ეს მშენებლობანი კომუნისტების დიდ მშენებლობათა რიცხვს მიეკუთვნებიან.

### ვოლგის ორი გიგანტი

კუბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურები მტკიცე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას უქმნიან ჩვენს ქვეყანას.

კუბიშევის ელსადგურის სიმძლავრე ორი მილიონი კილოვატი იქნება. იგი წელიწადში გამოიმუშავეს ათ მილიარდამდე კილოვატსაათ ელექტროენერგიას. გარდა იმისა, რომ იგი ენერჯის მიაწოდებს მოსკოვისა და სხვა დიდ ქალაქებს, მისი გამოყენების ბაზაზე მოიწვევა ვოლგისგადაღმა მხარის ერთ მილიონამდე ჰექტარი მიწა.

სტალინგრადის ელექტროსადგურს 1.700 ათასი კილოვატი სიმძლავრე ექნება და წლიურად გამოიმუშავეს ათ მილიარდ კი

ლოვატ-საათ ელექტროენერგიას. ამასთანავე ვოლგის გიგანტური ნაგებობა გააუმჯობესებს კასპის ზღვისპირა დაბლობის კლიმატურ პირობებს, ათვისებული იქნება კასპის ზღვისპირა უდაბური რაიონები, მოიწყვება ვოლგისგადაღმა სამხრეთი რაიონები და სხვ.

კუბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურები — ვოლგის ეს გიგანტები ელექტროენერგიით მოამარაგებენ ქალაქ მოსკოვს, ცენტრალურ სამრეწველო რაიონებს, ვოლგისპირეთს, ცენტრალურ შავინადავთან ოლქებს, აგრეთვე სარატოვის, ასტრახანის ოლქებსა და სხვ. იგი ხელს შეუწყობს მათს შემდგომ სამეურნეო-კულტურულ ზრდას.

მდინარე ვოლგის დონის აწევა და დიდ წყალსაცავთა შექმნა გააუმჯობესებს სანაოსნო პირობებს. გაზრდება ტვირთბრუნვა, გადიდება გემების მოძრაობა, კიდევ უფრო განმტკიცდება ეკონომიურ-კულტურული კავშირთაერთობა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის რაიონებს შორის. საქმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი სანაოსნო მაგისტრალი — მდინარე ვოლგა ორმოცეკერ მეტ ტვირთს გაატარებს, ეიდრე ვოლგისპირა რკინიგზის მაგისტრალი.

ვოლგის ორი გიგანტი გადასწყვეტს აგრეთვე ვოლგისპირეთისა და კასპის ზღვისპირა დაბლობთა მორწყვას, იქ მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების უდიდეს პრობლემას. სულ მოიწყვება 14 მილიონი ჰექტარი გვალიანი მიწა.

ახლა უზარმაზარი ფართობის მორწყვა კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს მიწათმოქმედებას. შექმნის საყვებ ბაზას მეცხოველეობისათვის, ელექტროენერჯის ბაზაზე განხორციელდება სუფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია, რაც შეამცირებს სათ-

ბობის მოხმარებას, რუნველყოფის, ამ რამენტურეთა შრომას, გაადიდებს მოსავლიანობასა და სხვ.

ვოლგის გიგანტების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია (ოცი მილიარდი კილოვატსათი) გადააქვრბებს ამერიკის შეერთებული შტატების ისეთი მძლავრი ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერჯიას, როგორცაა გრენდ-კული (მლ. კოლუმბიაზე) და ბიულდერ-ლაში (მლ. კოლორადოზე).

კუბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურებს საბჭოთა ადამიანებმა უწოდეს დიდი სახალხო მშენებლობანი. მათ აშენებს მთელი ხალხი, ისინი შენდება ხალხის ინტერესებისათვის, მისი ბუნებრივი და საამური ცხოვრებისათვის.

### სტალინური ბრუნვა უკრაინეზე ხაზზე

უკრაინის სამხრეთ ნაწილში, ე. ი. შვიზღვისპირა დაბლობში ხშირია გვალვები, რაც დაბლა სწევს მოსავლიანობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო უკანასკნელი 63 წლის განმავლობაში სამხრეთ უკრაინაში 22 წელიწადი გვალვიანი იყო.

უკრაინის სამხრეთ გვალვიან რაიონებსა და ყირიმის ჩრდილოეთ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და



მყარი მოსავლიანობის რუნველყოფის ამ რაიონებში ბაზისის და ხორბლის წარმოების გადიდების, მალალ პროდუქტიული მეცხოველეობის უფრო სწრაფი განვითარებისა და სახალხო მეურნეობისათვის ელექტროენერჯიის მიწოდების მიზნით მდინარე დნეპრზე ქ. კახოვასთან შენდება ჰიდროელექტროსადგური, აგრეთვე სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილო ყირიმის სარწყავი არხები.


ქალაქ კახოვასთან ჰიდროელექტროსადგურის წლიური სიმძლავრე 250 ათასი

კილოვატი იქნება. აშენდება კახალის, სანაოსნო რაბი და 14 მილიარდი კუბმეტრის ტევადობის წყალსაცავი. მშენებლობა დათავრდება 1957 წელს. ამავე დროს შეიქმნება სამხრეთ უკრაინის არხი და მისი გაგრძელება — ჩრდილო ყირიმის არხი, რომელთა საერთო სიგრძე 550 კილომეტრი იქნება.


ამ დიდი გეგმის განხორციელებით ერთი მილიონ ორასი ათასი ჰექტარი მიწა მოირწყება სამხრეთ უკრაინაში, ხოლო სამასი ათასი ჰექტარი ჩრდილო ყირიმში. აღნიშნულ რაიონებში კიდევ უფრო გაძლიერდება მექანიზაცია და გაიზარდება მოსავლიანობა, უდიდეს ფარგლებზე დაითესება

ტექნიკური კულტურები, პირველ რიგში ბამბა, საბჭოთა უკრაინა — ჩვენი ქვეყნის „პურის ბეიელი“ — ერთდროულად მეზამბეობის ერთ-ერთ წამყვან რესპუბლიკადაც გადაიქცევა. გარდა ამისა დნეპრზე გაუძლიერდება ნაოსნობა და მნიშვნელოვნად გადიდება ტვირთბრუნვა.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული ისტორიული დადგენილება ბრწყინვალე გამოხატულებაა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა, სტალინური ზრუნვისა უკრაინელ ხალხზე.







### შავი ქვიშების უკანასკნელი დღეები

უზბეკეთისა და განსაკუთრებით თურქმენეთის რესპუბლიკათა უდიდესი ფართობები უღებლობის უქირავთ (ყარა-ყუმი, ყიზილ-ყუმი, მეთუნ-ყუმი, ბეტ-ბაქალა ანუ „შინი რტეპი“ და სხვ.) და თითქმის გამოუყენებელი არიან. თურქმენი და უზბეკი ხალხის ისტორია ეს არის ბრძოლა წყლისათვის. ყარა-ყუმის უღებლობა ქვეშა 80 გრადუსამდე ხურდება, იგი მთლიანად უსიცოცხლოა, მაშინ როდესაც მდინარე ამუ-დარიას (ქ. ი. „სამოთხის მდინარე“) ათეული მილიარდი კუბმეტრი წყალი შეაქვს ყოველწლიურად ზღვაში და მისი წყლის მხოლოდ ერთი პროცენტი გამოიყენებული. თურქმენთა ძველი ანდაზა შესანიშნავად გამოხატავს მზომილთა გაირჩეებულ მღვდლმარეობას უწყობის გამა: „მდიდრის მამულზე წყალი მიედინება, ღარიბის მამულზე კი ქვიშაინი უღებნი ვაღის.“

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ მდინარე ამუ-დარიას ძველად ყარა-ყუმის უღებლობზე გველით კასპიის ზღვაში მიედინებოდა. დღესაც დარჩენილია ამუ-დარიის ძველი კალაპოტი — „უზბოი“. მაგრამ შემდეგში ხორეზმის მთავრებმა, რომლებიც ბტრულად იყენენ განწყობილი თურქმენებთან, გადაკეტეს ამუ-დარია და იგი არაღის ზღვაში გაუშვეს. მას შემდეგ თურქმენთა ქვეყნის დიდი ნაწილი უსიცოცხლო უღებნი იქცა.

წყალი თურქმენი ხალხის საოცნებო საგანი იყო მუდამ. 1716 წელს თურქმენი ხალხის წარგზავნილმა ხოჯა ნეფესმა მიღწეა პეტერბურგს და პეტრე პირველს თხოვა დახმარებოდა ამუ-დარიის კასპიის ზოვისაკენ გადომოვებში, მაგრამ ამაოდ. იგზავნებოდნენ აქსედოციები, იწერებოდა მეცნიერული შრომები, იქმნებოდა პროექტები. მაგრამ თურქმენი ხალხის ოცნება — მიეღო წყალი — კვლავ განუხორციელებელი რჩებოდა.

საბჭოთა თურქმენთი ჩვენი ქვეყნის მუშაკებისა და მეცხვარეობის ერთ-ერთი

მთავარი რაიონია. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას ხელს უშლის უწყლობა, უღებლობა დიდი ფართობები. ამიტომ სსრკეშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა აგებულ იქნას თურქმენეთის მთავარი არხი ამუ-დარია—კრასნოვოდსკი, 1.100 კილომეტრის სიგრძისა. არხის სათავე იქნება ტახიტაშთან მდ. ამუ-დარიაზე და სარიყამიშის ქვაბულის შემოვლით და ყარა-ყუმის უღებლობზე „უზბოის“ ძველი კალაპოტით კრასნოვოდსკამდე მივა. ამრგად 550 კილომეტრი სიგრძის მიეწყებული და დასაბლეთი „უზბოის“ ძველი კალაპოტი კვლავ აღსდგება და აყვავებულ ბაღებად გადაქცევის ყარა-ყუმის უსიცოცხლო უღებლობის.

მთავარი არხი უდიდესი იქნება მსოფლიოში. მისი აგება 7 წელიწადში უნდა დაიშავრდეს. ასეთ მოკლე დროში მისი აგება მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში შესაძლებელია. 81 კილომეტრი სიგრძის პანამის არხს ამერიკაში 35 წლის განმავლობაში აშენებდნენ. 165 კმ. სიგრძის სუეცის არხს — 22 წლის განმავლობაში, ხოლო მდ. ნილოსის დელტაში კასხალების აგებას ინგლისელებმა 68 წელიწადი მოაწოდეს.

თურქმენეთის მთავარი არხით მოირწყეება მთლიან სამასი ათასი ჰექტარი ახალი მიწები, უმთავრესად მეტამბეობის განვითარების მიზნით. თურქმენეთსა, უზბეკეთსა და ყარა-კალფაკეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეანობა გაიზარდება 4-5-ჯერ ჩვენი ქვეყნის შუა ზონასთან შედარებით და მიწა წელიწადში ორ მოსავალს მოგვეცემს. მთავარი არხი წყლით უზრუნველყოფს ყარა-ყუმის უღებლობის შვიდ მილიონამდე ჰექტარ საძოვარს, მასსადამე შეიქმნება მტკიცე საყვები ბაზა მეცხოველეობისათვის. გამწვანდება ტყეები (500 ათას ჰექტარზე), გაუმჯობესდება კლიმატური პირობები, აიგება სამი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური (თითო 100 ათასი კილოვატი სიმძლავრისა).

დგება ყარა-ყუმის — ამ შავი და ბოროტი ქვიშების უკანასკნელი დღეები... მდინარე ამუ-დარიას უწევენ სწორი გზა. ახლო ხანში ყარა-ყუმი ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ უმდიდრეს და უღამაზეს მხარედ გადაიქცევა.

ლ. მ. გ. ზარღალიძე.

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი

# დიდი ქართველი ისტორიკოსი

გარდაცვალებიდან 10 წლისთვის შესრუ-  
ლების სამო.

დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ალექსან-  
დრესძე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის  
11 (23) აპრილს ქალაქ სიღნაღში, მასწავლებ-  
ლის ოჯახში.

მამა—ალექსანდრე, პატარა ვანოს ბავშვო-  
ბაშივე უნერგავდა მშობლიური ქვეყნის სი-  
ყვარულს. 1888 წელს ივანე ჯავახიშვილი  
აბარებს გამოცდებს გიმნაზიის მეორე კლას-  
ში. მამის გიმნაზია ნამდვილი ცარისტული  
დაწესებულება იყო. აქ ბავშვებს აძულებდ-  
ნენ ყველაფერს, რაც კი ქართული იყო. ბავ-  
შვებს გიმნაზიაში ქართულ ენაზე ლაპარაკს  
უკრძალავდნენ. ამიტომ იყო, რომ ივანეს  
გიმნაზიის რეჟიმი არ მოსწონდა.

შეგნებული ქართველი ახალგაზრდობა  
დამოუკიდებლად სწავლობდა ქართულ ენას,  
ისტორიასა და ლიტერატურას.

ვანო გაკეთილუნის დამზადებისთანავე  
მიუჯდებოდა მამის მდიდარ ბიბლიოთეკას  
და ხალისით კითხულობდა საქართველოს ის-  
ტორიის, ლიტერატურის და საერთოდ ქარა-  
ული კულტურის შესახებ ყველაფერს, რაზე-  
დაც კი ხელი მიუწვდებოდა.

ივანე განსაკუთრებით გატაცებული იყო  
ბუმანიარული საგნებით საერთოდ და ის-  
ტორიით კერძოდ. მას ისტორიაში ყოველთ-  
ვის ხელთანი ჰქონდა. გიმნაზიაში ყოველის  
დროს ვანომ იმდენად კარგად იცოდა ისტო-  
რია, რომ მოხსენებარეფერატებს სწერდა.

ივანე ჯავახიშვილი გატაცებული იყო ექს-  
კურსებით. იგი მშობლიურ მხარეში ცხენით,  
თუ ფეხით ხშირად დადიოდა და ნახულობ-  
და ქართული კულტურის ძეგლებს.

ყოველგვარი კეთილი საქმისადმი მისწრა-  
ფება, განვითარების ფართო ჰორიზონტი,  
მეგობრისადმი გულკეთილი და თავაზიანი  
დამოკიდებულება ივ. ჯავახიშვილს ამხა-  
ნავთა წრეში პირველ ადგილზე აყენებდა.

ივანე ჯავახიშვილმა 1895 წ. დაამთავრა  
გიმნაზია და შევიდა პეტერბურგის უნივერ-  
სიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტე-  
ტის ქართულ-სომხური განყოფილე-  
ბაში.

თავისი ნაყოფიერებითა და ქართული ძეგლე-  
ბის ცოდნით ივანე ჯავახიშვილმა აღრევე  
მოიპყრო სპეციალისტების ყურადღება.



ივანე ჯავახიშვილი

1899 წ. ივ. ჯავახიშვილმა წარმატებით  
დაამთავრა უნივერსიტეტი და დატოვებულ  
იქნა იქვე საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ივ. ჯავახიშვილი ყოველგვარ ზომებს ხმა-  
რობდა ქართველ სტუდენტებში გაელვძე-  
ბინა სამშობლოსადმი სიყვარული და ქარ-  
თული კულტურისადმი ინტერესი. ამ მიზნით  
1895 წელს დააარსა ეგრეთწოდებული „სა-  
თვისტომო“, სადაც ქართველი სტუდენტები  
კითხულობდნენ მოხსენებებს საქართველოს  
წარსულის სხვადასხვა საკითხებზე. იმართე-  
ბოდა სადამო-წარმოდგენები და სხვა.

1903 წლიდან 1917 წლამდე ივ. ჯავახიშ-  
ვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის პრი-  
ვატ-დოცენტი და კითხულობს ლექციებს  
საქართველოს ისტორიიდან.

მიუხედავად იმისა, რომ მას რუსეთში უხ-  
დებოდა მუშაობა, იგი ზავებულობით თავის  
საყვარელ საქართველოს მოაზრებდა ხოლმე  
და აქ მშობლიური ქვეყნის სხვადასხვა კუთხე-  
ში გამოდიოდა საჯარო ლექციებით ქართუ-  
ლი კულტურის საპრობოროტო საკითხებზე.

1907 წელს ივ. ჯავახიშვილმა პეტერბურ-  
გის უნივერსიტეტთან დააარსა ქართველ  
სტუდენტთა სამეცნიერო წრე. ამ წრემ დიდი  
მუშაობა გასწია ქართული მეცნიერების წინ-  
სვლისათვის.

1917 წელს ხალხთა საპრობოლო — ცარი-  
ზმი დაეცა. ივ. ჯავახიშვილი სარგებლობს  
ამით, თავის ბინაზე იხმობს ქართველ პატრი-

ოტა მცირე ჯგუფს და ამ ჯგუფს გამოაქვს გადაწყვეტილება ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ.

ივანე მაღე საქართველოს მოამუშებს და სათავეში უდგება საუნივერსიტეტო მოძრაობას. ეს მოძრაობა დამთავრდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული შესაძლებლობების სრულყოფილად გამოლა საბჭოთა ხელისუფლებას პირობებში მოხდა.

დიდამეცნიერმა ორმოცწელზე მეტი იმოდენა ქართველი ხალხის, საქართველოს ისტორიის მეცნიერულად დამუშავების სფეროში.

ივ. ჯავახიშვილი არა მარტო წამალგადამსაჯელი პალიმსესტების შიფრავდა და ისტორიის საღიგო თარიღებს ადგენდა, არამედ ჩვენი ქვეყნის გარდასულ ამბებს სადღისო ამოცანებთან აკავშირებდა.

ივ. ჯავახიშვილისათვის სიხარულის მომგვრელი იყო პალიმსესტების აღმოჩენა და კოლხეთის ქობიანი დაბლობის ამოწრობა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრია და არქეოლოგიური მონაპოვრები, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება და ისტორიული მატარებების პოვნა.

მრავალმხრივი იყო მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო. მან ქართული ისტორიული მეცნიერება ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

ივ. ჯავახიშვილს არ ეყო სიცოცხლე, რომ ყველაფერი მოესწრო, რის გაცემებასაც იგი ფიქრობდა.

ორმოც წელზე მეტი ხნის მძიმე შრომამ, ხანგრძლივმა მეცნიერულმა მუშაობამ მოღალადიღებუნიბოვანი აღამიანი. 1940 წლის 18 ნოემბერს მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე, ლექციის კითხვის დროს, 9 საათსა და 40 წუთზე, ივ. ჯავახიშვილის კეთილშობილმა გულმა სამუდამოდ შესწყვიტა ცემა.

ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ერთ-ერთი უძველესი იყო და მის ეზოშივე ჰყოვა უკანასკნელი და საუკუნო თავშესაფარი — დასაფლავებულთა უნივერსიტეტის ეზოში.

საფლავში ჩაეიდა ივანე ჯავახიშვილი და მან თავისი სახელი უანდერძა ქართული კულტურის ისტორიას.

დოქ. დავით ბერიძე.  
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



### ფ ე ი ს ო ა

ვიც ჩვენი შავი ზღვის სანაპიროზე ან ყირიმის სამხრეთ რაიონებში ყოფილა, ალბათ უნახავს მარადმწვანე, მბრწყინავი ფოთლებით დაფარული ბუჩქები. ისინი განსაკუთრებით მიმზიდველნი არიან ზაფხულში, როდესაც მათზე ვაღიშობება დიდი, გარედან თეთრი და შიგნიდან კი წითელი ან მუქი ილიფერი ყვავილები. ეს ფეიხოა. მისი სამშობლო ურუგვაი და ბრაზილის ტროპიკული ტყეებია. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მას ბოტანიკურ ბაღებში აჩვენებდნენ, როგორც „ზღვისმცხეთა საოცრებას“. ახლა კი ფეიხოა კოლმეურნეობის მინდვრებზე და ჩვენი სუბტროპიკების საბჭოთა მეურნეობებშია გამეხებულ.

ფეიხომ სახელი გაითქვა თავისი საყვირ-

ველი მუქ-მწვანე ნაყოფით, რომელიც გარეგნულად ნორჩ კიტრს წააგავს, მისი გემო კი მარწყვს და ანანასს მოგვაგონებს. ფეიხოს ნაყოფი მეტად ნოყიერია და მდიდარი ცილოვანი ნივთიერებებით, შაქრით და მყვინებით. ნაყოფს უმად სჭამენ. განსაკუთრებით სასიამოვნოა დაკონსერვებული ფეიხოა, რომლისაგანაც მურაბას, მარმალადს, ყეულეს და ცუტაბებს აკეთებენ.

ფეიხოს მოშენება ძნელი არ არის. იგი მრავლდება ძირით, თესლით და ორი-სამი წლის შემდეგ იძლევა მოსავალს.

მოზრდილი ხეები იძლევა 40-50 კილოგრამამდე ნაყოფს.

ფეიხოა საბჭოთა სუბტროპიკების ყველაზე ახალგაზრდა ნაყოფიანი კულტურაა.



აეშვებო, თუ თქვენ გაივლით რუსთაველის გამზირზე, დაინახავთ მრავალ ლამაზ შენობას სასახლეებს, თეატრებს, მუზეუმებსა და საცხოვრებელ სახლებს. აი, თქვენ მიხედვით საბჭოთა კავშირის გმირების მოედანზე, სადაც აღმართულია ძალიან მაღალი სახლი. დაითვალით რამდენ სართულიანია ეს სახლი: ნახავთ, რომ ექვს სართულიანია, ხოლო ერთ ადგილას იგი თერთმეტ სართულიანიაც კი არის, განაგრძეთ გზა სადღურისაკენ, მარჯვნივ, მთაზე დაინახავთ მთელს მსოფლიოში ულამაზესი ცირკის შენობას, ხოლო შემდეგ გაივლით მდინარე მტკვარზე აგებულ ჩელუსკინელების ლაშხ ხიდზე. შეჩერდით ცოტა ხნით ხიდზე და გადაიხედეთ მარჯვნივ, შეათვალიერეთ მტკვრის ნაპირები. თქვენ დაინახავთ, რომ იქ შენდება სტალინის სახელობის საანაბროს მაღალი კედლები. ხიდიდან შორს არ არის სადღური; იგი ძალიან მაღალი და ლამაზი გახდა, თუმცა მისი მშენებლობა ჯერ არ არის დამთავრებული. სადღურს მშენებელი, ოქროსი მოვარაყებელი ქიმი ამკობს. ყველა ეს ლამაზი ნაგებობები: სახლები, თეატრები, მუზეუმები, ხიდები, სადღური, საანაბრო ქუჩები და სხვა—ააგეს იმ აღმანებმა, რომლებმაც იციან აგენება, მათ მშენებლებს ეძახიან.

სახლები და საანაბროს კედლები, ჩელუსკინელების ხიდი და სხვა ნაგებობათა ნაწილები უმთავრესად ბეტონისაგანაა გაკეთებული.

იცი თუ არა თქვენ რა არის ბეტონი? მე თქვენ ახლა ავიხსნით ამას.

თქვენ ვინახავთ კლდეები. თუ მათ ავაფუთავთ, უზარმაზარი კლდეებიდან ქვის

ნატეხებს მივიღებთ. ამ ქვებით შეიძლება კედლების აძენება, ამისათვის საჭიროა ისინი ერთმანეთთან შევაკავშიროთ ისე, რომ კედლის სასურველი ფორმა მივიღოთ. ქვებს ერთიმეორესთან ვაკავშირებთ განსაკუთრებული ხსნარით, რომელიც მჭიდოს (ცემენტ), ქვიშისა და წყლისაგან შესდგება, როცა ასეთი ხსნარი გაშრება, იგი ძალიან მტკიცედ შეაერთებს ქვებს ერთიმეორესთან. ასეთნაირად, ცალკეული პატარა ქვებისაგან ჩვენ შეგვიძლია მაღალი კედლების აშენება. მაგრამ ხშირად, მშენებლობის მახლობლად არ მოიპოვება მაგარი ჯიშის ქვები, ხოლო მათი მოხილვა შორი მანძილიდან ძნელია. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია დავამზადოთ ხელოვნური ქვები. ბევრ ადგილას, განსაკუთრებით მდინარეებში და მათ ნაპირებზე ხშირად გვხვდება ხრეში. ხრეში ეს ვლუტვლადპირიანი პატარა ქვებია. თუ ჩვენ ერთმანეთში აფურცეთ ხრეშს, მჭიდსა და წყალს, — მივიღებთ ისეთ ხსნარს, რომელიც გაშრობის შემდეგ გაძაბდება. აი ასეთ ქვას ეწოდება ბეტონი.

ახლად მომზადებულ ბეტონს, სანამ იგი ჯერ კიდევ სველია, ფენებდ ვყრით ხის ყალიბებში და მას თანდათანობით ეტკეპნით, რადგან დატკეპნილი ბეტონი უფრო მტკიცე გამოდის.

თუ მუშები, რომლებიც ბეტონს აკეთებენ, ყველა საჭირო საბუთაოს ხელით შესრულებენ, ე. ი. აღრევენ ერთმანეთში ხრეშს, ქვიშას, მჭიდსა და წყალს, ჩაპყრიან ყალიბებში და დასტკეპნიან მას, მაშინ მშენებლობა ძალიან ნელი ტემპით წვაე წინ, ბევრი მუშახელი დაგჭირდება და მათი შრომაც ძალიან მძიმე იქნება. ჩვენ კი სოციალისტურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ვცდილობთ

მუშების შრომა შეემატებოდა. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანაში დიდი მშენებლობა მიმდინარეობს, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მშენებლობა ჩქარი ტემპით ვაწარმოოთ, ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შევცვალოთ ადამიანის შრომა შექანიზაციით.

მანქანას, რომელიც ერთმანეთში ატრეცს ხრებს, ქვიშას, მქიხას და წყალს, ბატონ-ბრევი მანქანა ეწოდება, იგი ძალიან სწრაფად მუშაობს და ბევრი მუშაკელის შრომას ცვლის. მუშები მხოლოდ ბეტონის შემადგენელ ნაწილებს ჩაჰყრიან ბეტონმარევი და შემდეგ გამწვანებულ ხალ ბეტონს ვადიტანენ ყალიბებში, სადაც მისი დატეხვა მანქანით ხდება, რომელსაც „ვიბრატორი“ ეწოდება.

როცა ყალიბები აივსება დატეხნილი ბეტონით, მას სტოვებენ 28 დღის განმავლობაში, რომ იგი კარგად გამაგრდეს, რის შემდეგ

გაც ყალიბებს მოხსნიან. ბეტონის კედელი უკვე მზადაა.

ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართ და ბეტონისაგან სახლებს, ხიდებს, სანაპიროებს და სხვა შენობებს ვაშენებთ. მაგრამ როცა ჩვენს ქვეყანას მტრები დაესხნენ, ბეტონისაგან თავდასაცავ ნაგებობებსაც ვაშენებდით.

ასეთი თავდაცვითი ნაგებობანი ჩვენ ვვიფარავდენ მტრების მიერ გამოსროლილი ტყეებისა და ყუმბარებისაგან.

ბეტონი გამოიყენება აგრეთვე რკინა-ბეტონის შენობების ასაგებადაც, ხოლო რკინა-ბეტონის შესახებ ჩვენ საუბარი გვექნება თქვენი ჟურნალის მორიგ ნომერში.

**აკადემიკოსი ქ. ზაქარიძე.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის დირექტორი



# ორსკართულიანი ზღვა

შავი ზღვის წყალი ორას მეტრზე მეტ სიღრმეში წარმოადგენს სიკვდილს დატუბებულ საჰაეროს მასში სიცოცხლე შეთქმობელია. რადგან იგი მოწამლულია გოგირდწყალბადით.

სწავლულები ბევრსა და ცხარედ დაიბნენ ამ მოვლენის მიზეზების შესახებ.

— ოდესღაც შავი ზღვის ადგილას იყო უშველებელი მტკნარი ტბა. — ამტკიცებდნენ ერთი. — მაგრამ ერთხელ ხმელთაშუა ზღვის მღაშე წულტმა გაარღვიეს ბოსფორის უბლი და ვებერბოდა წყალატევის სიღრმე გადააქციეს წყალტენარებისა და ივზების ლაპხაი წარჩენებისაგან მოწამლულ გოგინტურ სასულადად.

— შავი ზღვის სიღრმეები მუდამ იყო სიკვდილის სახეო. — პასუხობდა სწავლული მეორე გვადო.

— გოგირდწყალბადი შემოდის შორელი მიწისქვეშა სიღრმეებიდან ფსკერის ნაპირალებით.

მაგრამ სწავლულების ვერც ერთმა და ვერც მეორე გვადომა ვერ შესძლო იმის ახსნა, თუ რატომ არის ზღვის ზღაფენებზე ასე ბევრი თევზი და ზღვის ცხოველები და რატომ არ ილტებიან ისინი მოწამლული გოგირდწყალბადისაგან.

ცოტა წლები როდი დასჭირდათ ყველა ამ საკითხების გადასაჭრელად. მეცნიერები ამ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შავი ზღვის ადგილას იმყოფება ორი

ზღვა—ერთი მეორის ზევით. უფრო მღაშე. — გოგირდწყალბადით მოწამლული—მდებარეობს ქვედას, ნაგრამ იგი სრულტნოაც არა მცდარი, მისი მცხოვრებნი აღირცხებიან შილიარღზე შილიარდობით. მისი მოზინარდებნი შესდგებიან პატრიებისაგან, რომლებიც ნიჭენ მთავადს და გამოყოფენ გოგირდწყალბადს.

მეორე. — უფრო ნაყლებ მღაშე ზღვა. — არ არის ღრმა: მისი სიღრმე სულ ორას მეტრამდეა. იგი წარმოშობილია მდინარეებისაგან, რომლებიც მოედინებიან შავ ზღვაში და ამიტომ არის უფრო ნაყლებ მარლიანი. სწორედ ეს მარლიანობის სხვადასხვაობა არ აძლენ ამ ზღვებს ერთმეორეში შერევის საშუალებას.

ზემოთა ზღვის მოჭარბებული წყალი მიედინება ბოსფორზე გავლთ სამხრეთისაკენ. მაგრამ საიდანა ივსება ღრმა ზღვა? ხომ არ არის დაკავშირებული იგი მღაშე ხმელთაშუა ზღვასთან?

ეს ამოცანა ამოსწნა ცნობილმა რუსმა სწავლულმა, იდმირალმა მაკაროვმა. მან აღმოაჩინა ბოსფორში მეორე მდინარება. გამოირკვა, რომ ქვეთო, ღრმად ხმელთაშუა ზღვის ცივი და მღაშე წყლები მიდინებიან ჩრდილოეთისაკენ.

ქ. ანდროძე



# ასვილი

ასკილი ანუ გარეული ვარდი ეკლიანი ბუჩქია. იგი ძრავალი სახის გვხვდება. მათ შორის აღსანიშნავია: ჩვეულებრივი, სურნელოვანი, ღობის, მარადმწვანე, თეთრი ასკილი და სხვა. ასკილი ჰევეის იენის-იელისში სხვადასხვა ფერის ლამაზი ყვავილით.

ასკილის ყვავილისაგან ამზადებენ ძვირფას ვარდის ზეთს, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს საპარფიუმერო მრეწველობაში.

ასკილი ხარობს დაბლობშიც და მთებშიც, როგორც ნოყიერ, ისე ხრიოკ და ქვიან ნიადაგებში.

ასკილი ძლიერ გავრცელებულია ჩვენს ტყეებსა და მიწებებში. მაგრამ ხშირად ამყნებენ დეკორაციულ ბაღებშიც. იყენებენ ცოცხალ ღობედ. მეყვავილეობის განვითარების საქმეში კი შესანიშნავ საძირეს წარმოადგენს. მის საძირეზე ამყნობენ სხვადასხვა ჯიშის ვარდს.

ბევრი საუკეთესო ჯიშის ვარდია გამოყვანილი ასკილიდან. ვარდი კი ყვავილთა სამეფოს სიამაყეა.

ასკილის გამოყენებას ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს. ასკილის ყვავილის დანაყილ თესვს ძველად პირის ღრუში სისხლის დენის საწინააღმდეგოდ ხმარობდნენ, ამზადებდნენ ვარდის შარბათს და ამევენენ ავადმყოფს, როგორც ღონეზე მომყვან, გულისა და კუჭნაწლავის გამმარებელ საშუალებას; ვარდა ამისა, ვარდის წყალი ხელს უწყობს საქმლის მონელებას; ვარდის ფოთლო, სხვა მცენარის ნაწილებთან ერთად, იხმარებოდა ცხვირიდან სისხლის დენის შესაწყვეტად. ამავე დროს, ვარდის

წყალს იყენებდნენ კბილების გასამაგრებლად, თვალისა და თავის ტყვიელის საწინააღმდეგოდ. ასკილის ფესვის ქერქს ხმარობდნენ ცოფიანი ძაღლის მიერ დაკბენის საწინააღმდეგოდ.

ასკილის ყვავილიდან განვითარდება ჯერ მწვანე ნაყოფი, რომელიც შემდგ მწიფდება და აგვისტოს თვიდან ღებულობს წითელ ფერს.

როგორ უნდა ვაწარმოოთ ასკილის ნაყოფის დაკრეფა?

ნაყოფი უნდა დაკრეფოთ კალათებში გადაშრივებამდე, სწორედ იმ დროს, როდესაც ნაყოფი წითელი ფერისაა. რაც მთავარია ეს უნდა მოხდეს შშრალ ამინდში. დაკრეფილი ნაყოფი წინასწარ მომზადებულ საშრობ ადგილებზე უნდა ჩავაბაროთ, რომელიც ამჟამად მოწოდებულია საქართველოს მრავალ რაიონის ცენტრში. აქ ასკილის ნაყოფი სათანადო წესით გამოშრება და გადაიგზავნება თბილისის ფარმაცოქიმიურ მრეწველობის ქარხანაში. ხსენებულ ქარხანაში ასკილის ნაყოფიდან ამზადებენ „ც“ ვიტამინებით მდიდარ სპეციალურ პრეპარატს „ასკილინს“ და „ხოლოსინის“.

ხოლოსინის ხმარობენ ღვიძლის დაავადების წინააღმდეგ. „ასკილინს“ კი—სურბავანდით დაავადების წინააღმდეგ.

ჩვენში საქმაოდ გავრცელებული ასკილის მცენარე ძლიერ სასარგებლოა, როგორც სოფლის მეურნეობაში ისე სამედიცინო და საპარფიუმერო მრეწველობაში, ამიტომ ყველა პიონერმა ხელი უნდა შეუწყოს ასკილის გაშენებას და ნაყოფის შეგროვებას.

**გალაქიონი მიწაძე**





ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმულ ქიმიკოს-მეცნიერთა შორის, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს შრომითი და მსოფლიო მეცნიერების საგანძურში, დიმიტრი ივანეს-ძემ მენდელეევის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

ელემენტთა პერიოდული კანონის აღმოჩენამ, მის საფუძველზე ელემენტთა პერიოდული სისტემის ჩამოყალიბებამ და „ქიმიის საფუძველი“ შექმნამ, რომელთაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე ქიმიური მეცნიერების შეუფერხებელი წინსვლის საქმეს, მარად უტყობო, მსოფლიო მეცნიერის სახელი მოუხვეჭა დ. ი. მენდელეევი.

მენდელეევის დაუცხრომელი ინიციატივა, უდიდესი შრომისუნარიანობა და ღრმა მეცნიერული ცოდნა მეცნიერების თითქმის ყველა წამყვან დარგს გადასწვდა. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ 170-იან წლებში მენდელეევი სერიოზულ მუშაობას აწარმოებდა გაზთა დრეკადობისა და მეტეოროლოგიის საკითხებზე. ამ საკითხებში იძინებდა ვატიცა იგი, რომ სერიოზულად შეუდგა პერანოსნობის საფუძვლების შესწავლას. ამ საკითხს მან სპეციალური შრომაც კი მიუძღვნა — „სითხეების წინააღობისა და პერანოსნობის შესახებ“, რომელსაც უდიდესი შეფასება მისცა რუსული აკადემიის მიამამ პროფესორმა ნ. ე. ტუჟოვსკიმ.

მენდელეევი იმდენად შეიპყრო ამ საკითხს ღრმად შესწავლის სურვილი, რომ 1876 წელს იგი წერდა: „მინდა შევასრულო... სანდერბო სურვილი — დავეყო ღრუბლების შევით და შევიტანო იქ საზომი ხელსაწყოები“.

ამ ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას საშუალება მენდელეევის მხოლოდ 11 წლის შემდეგ მიეცა. ასტრონომების გამოანგარიშებით 1887 წლის 7 აგვისტოს მზის სრული დაბნელება იყო მოსალოდნელი. ამ დაბნელებაზე დაკვირვება შესაძლებელი იყო დიდ მანძილზე — გერმანიიდან დაწყებული, ცენტრალურ რუსეთში, ციმბირში და წყნარ ოკეანემდე. ბევრმა ქვეყანამ თავისი წარმომადგენელიც კი გამოგზავნა რუსეთ-

ში, რადგან დაკვირვებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები ცენტრალურ რუსეთში არსებობდა.

მენდელეევი, როგორც ცნობილია, ძლიერ დაინტერესებული იყო ამ გარემოებით, მით უმეტეს, რომ ის იმ დროს ცხოვრობდა ქალაქ კლინთან ახლოს, ბობოლეოვში, რომელიც მზის დაბნელების მთავარ ზოლზე მდებარეობდა. ამას ისიც დაერთო, რომ „რუსეთის ტექნიკური საზოგადოების“ თავმჯდომარემ პროფ. გარსევანოვიელმა, რომელმაც კარგად იცოდა მენდელეევის დაინტერესებულობა ამ საკითხებით, მზის დაბნელებაზე ერთი კვირით ადრე დეპუტით აცნობა მას პერანოსტიდან ეწარმოებდა უშუალო თვალთვალს მზის დაბნელებაზე.

დ. ი. მენდელეევიმ საიმოვნებით მიიღო „რუსეთის ტექნიკური საზოგადოების“ დაჯალაღობა და შეუდგა საქმის მოგვარებას. ამ მიზნით მან პირველ რიგში საიხვედრო უწყებებიდან გამოითხოვა პერანოსტატი. მენდელეევის თხოვნა დააკმაყოფილეს და დაბნელების დღისათვის ქალაქ კლინის მოედანზე სათანადოდ გამზადებული (წყალებდით გავსებული) 640 კობური მეტრის მოცულობის პერანოსტატი მიაწოდეს.

ამინდი ნოტიო და ბურუსიანი იყო, ამიტომ პერანოსტატი დასველდა. დამძიმდა და მან ვერ შესძლო კალთაში მყოფი პილოტი-სა და დ. ი. მენდელეევის აწევა. დრო არ ითმენდა. ხუთწუთიანი დაბნელება ის იყო უნდა დაწყებულიყო. დიმიტრი ივანეს-ძემ სასწრაფოდ გადააწყვეტილება მიიღო. წინადადება მისცა თავის თანამგზავრს პილოტ კოვანკოს კალათიდან გადასულიყო და პერანოსტატი-სათვის შემოეკრათ ბაგირები. მენდელეევის განკარგულება სასწრაფოდ შესრულდა. უკანასკნელ წუთში ის გამოემშვიდობა შეილს, ნათესაებს, მეგობრებს და ხალხს. დილის 6 საათსა და 38 წუთზე პერანოსტატი „რუსსიკა“ უცებ მოსწყდა დედამიწას, დიმიტრი ივანეს-ძემ სწრაფად აიჭრა ცის კამარაში და ღრუბლებში მიიშალა.

ტალღვარებმა ეს ამბავი სასწრაფოდ მთელ ქვეყანას აცნობა. მრავალიცხოვანი მკვლევარი დულისთან ქვალთ თვალყურს ადევნებდა, თუ რით დამთავრდებოდა დიდი მეცნიერის ეს სახიფათო ნაბიჯი. 6 საათსა და 40 წუთზე მზის დაბნელება დაიწყო. დიმიტრი ივანეს-ძე, რომელიც ღრუბლებს ზევით ავიდა, მალე გაერკვა უჩვეულო პირობებში, სწრაფად მოიმარჯვა თან წადებული ხელსა-

წყობები, მოახდინა რამდენიმე დაკვირვება და დაახლოებით 3 საათის შემდეგ, უვნებლად დაეშვა დედამიწაზე.

დიმიტრი ივანესოვი ამ გაფრენისადმი მიძღვნილ წერილში შემდეგს მოგვითხრობს: „პირველ ხანში მე სრულიად არ ვფიქრობდი არც დაშვების და არც პერბურთზე შეურბენობის მოწესრიგების შესახებ... წარმოიდგინეთ თავი განმარტობებულად, სრულ სიჩუმეში. ირგვლივ თოკები, ხოლო ფეხებზე და ზეშორან დრებლები... როცა კალათის გვერდს შეეხედე, საიდაც დაკიდებული უნდა ყოფილიყო დახვეული ბაგირები, ლუხები და პაიდრობი ცრმელი ბაგირია, მიმაგრებული პეროსტატის გონდოლაზე, რომლის დანიშნულებაა შეკუმბულება და რეგულირება), დაეინახე, რომ ორივე ბაგირი უკვე დაშვებულიყო მიწაზე. ჩემს დაუკითხავად ის ვიღაცას მოესხნა, რაც ამჟამა შეცდომაყო. განსაკუთრებით არასასიამოვნოდ იმოქმედა შემზე იმან, რომ ორივე ბაგირი დაბანდულიყო ჩამოშვების დროს. პირველ რიგში საქარო იყო პაიდრობის გამოხსნა. თოკები რომ გამოემხსნა, აეოცდი კალათიდან ზევით და ხელი ჩაეჭიდე თოკებსა და როგორს. უნდა გამოვტყუდე, რომ იყო მომენტი, როცა ვიფიქრე, რომ მე არ უნდა მოვხდინო უხვეულო აეოცება არამტკიცე დასაყრდენებზე, მაგრამ სარჩელის გასწორების აუცილებლობის შეგნებამ — მაშინვე გახდენა ჩემგან ეს აზრი“.

მართლაც, დიმიტრი ივანეს-ძემ სიძულელი არ დახოვა, აეოცდა პერბურთის სელაპირზე, გამოხსნა სარჩელის თოკები და მშვიდობიანად დაბრუნდა კალათში. ამის შემდეგ დაიწყო პეროსტატის ნელი დაშვება.

„21½ კილომეტრის სიმალიდან 17 წამში დავეფიქრე, —წერს მენდელეევი.—მე დაეინახე, რომ ტყეზე გადავიფრინე. მაშინ ჩავეცლე ხელი სარჩელის თოკს მიუღის ძალით და გავხსენი იგი... მიწასთან პირველი შეხება მოხდა მნიშვნელოვანი დაჯახების ვარგეთ, ადგილი ჰქონდა რბილ მსუბუქ დავარდნას“.

მენდელეევის მშვიდობით დაბრუნება ჩვენს ეცნობა ოჯახსა და „რუსეთის ტექნიკურ საზოგადოებას“, რომლებიც ვაფაციცებით ეძებდნენ მენდელეევის, რადგან ქარმა მისი პეროსტატი აფრენის ადგილიდან შორს გადატყორცნა.

მენდელეევის ამ სახელოვანმა გაფრენამ დიდი გავირცედა გამოიწვია მსოფლიო მეცნიერთა შორის. ისედაც სახელოვან მეცნიერს უფრო მეტი დიდება შეჰპაჩა ამ ფაქტში. მრავალი სამეცნიერო დაწესებულება, მეცნიერი და პრესა აღაპარაკდა მენდელეევის ამ მეცნიერული გამბედაობის შესახებ. პარიზის პერონავტოკლერმა აადგიმამ მენდელეევის მისცა დიპლომი წარწერით: „გულადობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა აფრენისას 1887 წლის 7 აგვისტოს მზის სრული დაბნელების დროს“.

ამ იშვიათი გაფრენით მენდელეევიმა მოგვცა იმის ნიმუში, თუ როგორ თავგანწირვამდე უნდა იბრძოდეს ადამიანი, რომელიც დარჩენილებულია შობლიური მეცნიერების განვითარებით.

აღწერილი გაფრენით მენდელეევიმა ჯერ კიდევ 63 წლის წინათ გარკვეული ბრწყინვალე ფორცელი ჩაწერა რუსული ავიაციის ისტორიაში. იმ ავიაციისა, რომელმაც სოციალიზმის ქვეყანაში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია.

ჩვენმა ახალგაზრდობამ გულმოდგინედ უნდა შეისწავლოს დიდი რუსი მეცნიერის დ. ი. მენდელეევის მეცნიერული შემოქმედების მდიდარი მემკვიდრეობა. ყერძოდ კი, — მისი შრომები პერონავსონობის დარგში.

### 3. გეზარძე.

საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.







# რუსი მემცენიერის ტრიუმფი

1875 წელს ლუბანჭა დომოსსმა ლ. დე შუასთ-  
დბანმა შემოსვლით აღმზარინა უცნობი ელემენტი.  
ამ ელემენტს მან უწოდა გალია (გალია—საფრან-  
გეთის უბეჭლესი სახელწოდება), განსაზღვრა მისი  
უზნაბეჭლეთაბეჭლი თვისება, და პარამბის შეცნ-  
ებებთან აკავშირებს „მთხრობეზმის“ გამთაბეჭლი  
ცნობა თვისი აღმზარინის შესახებ.

ყოველივე ამას, შესაბეჭლით იცო, რაეჭლ  
ბრტბრტ ბრტბრტის მთხრობის (აღმზარინობა ვიეჭ  
ბრტბრტ—ბრტბრტის მთხრობისაბეჭლი ელემენტი და  
მთხრობა!) თუ არა წებობა, მიეჭლი შეცნობ-  
ის მიერ სანებ-მეჭრბრტბრტის უზნაბეჭლეთის პრ-  
ბეჭლითის დამებრტ მებეჭლითისაბეჭლი.

წებობის აცნობის აბეჭლითისა, ბრტ მებეჭლითის-  
ის დაბეჭლითის აბეჭლითისა თვისებებთან აბეჭ-  
ბრტბრტ, პრტბრტ: ასედა ლითბრტის სებეჭლითის წებობა

უნდა იცნობ არა 4,7, ბრტბრტ მებეჭლითის აბ-  
ეჭლითისა, არამებ 5,9-დან 6,0-მებ.

საბეჭლითის განმებრტბრტითი მებეჭლითის გამ-  
ბრტბრტ, ბრტ მებეჭლითის მებრტბრტ იცო. გალიას  
სებეჭლითის წებობა მებრტბრტ 5,96 აღმზარინდა.

ამ შემოსვრამ მთხრობის მზაბეჭლითის მებეჭლითის  
ეჭლითისა მიეჭლითის. უბრტბრტის მებეჭლითისაბეჭლი  
სებეჭლითის მებეჭლითის სებეჭლითის, დაბეჭლითის 1872  
წელს გებმებეჭლითის სებეჭლითისაბეჭლი. მისში ლაბა-  
ბრტბრტ იცო, ბრტბრტის მებეჭლითის მებეჭლითის ასედა  
კანბრტის გებმებეჭლითის აღმზარინებ. გამბრტბრტ  
ბრტბრტ, ბრტ ბრტბრტისაბეჭლითის მებეჭლითისაბეჭლი  
„ეჭლითისაბეჭლითისაბეჭლითისაბეჭლითისა“ უწებობა, გამ-  
ბრტბრტ მებეჭლითის იცო ბრტბრტისაბეჭლითის 1869  
წელს.

## ჩინური ანბანები

1. კვიანი ფუტკარი დამებეჭლითის ყვა-  
ვილის არ წებობის.
2. სპილოს ეშვი ძაღლის პირში არ  
ბრტბრტ.
3. ქარს დიდი ხე უყვარს.
4. გველი, თუნდ ლერწმის მიღში  
შეაბეჭლითის, იქაც დაბეჭლითის კლაკენას.
5. მოხუცი ადამიანი ოჯახში საუნებეჭლითის.
6. მდიდრებს მოკლე მებეჭლითისაბეჭლითის.
7. ვეფხვი და ბრტბრტის ბრტბრტისაბეჭლითის  
ბრტბრტის.
8. თევზი სწორედ მისატყუარს ხე-  
დაბეჭლითის და ანების კი ვერა.
9. ერთი ადამიანის სიკოცხლის  
გადარჩენა სჯობია შებეჭლითისაბეჭლითის  
ბრტბრტის აბეჭლითის.
10. თუ შენი ბალი არ აყვავდა, შენს  
თავს დაბეჭლითის და არა მებეჭლითის.

11. თუ თევზის დაბეჭლითის გინდა, ხებე  
ნუ მიკოცავ.
12. გამებეჭლითის კაცისა, საბეჭლითის  
ეშენია.
13. სტუმარს ნუ ჰკითხავ, უნდა თუ  
არა, რომ ქებამი დაბეჭლითის.
14. როდესაც წყალსა სვამ, წყაროც  
გახსოვდეს.
15. ვინც ორჯერ მოიხედავს, არა-  
ფერს დაბეჭლითისაბეჭლითის.
16. გველს თუ დაბეჭლითისა, — მოკალი,  
თორემ შებეჭლითისაბეჭლითის და დაბეჭლითის.
17. ქალკის ხალხი ქმნის და არა  
კებეჭლითის.
18. ნამებეჭლითის მებეჭლითისაბეჭლითის წყა-  
ლიც ბებეჭლითის.
19. იმებრტბრტისაბეჭლითის ყოფნა იგივეა,  
რაც ვეფხვთან კარგი დამოკებეჭლითისაბეჭლითის.  
თარგმნა ს. ბუბნაბეჭლითის

# იციოთ თუ არა თქვენ, რომ...



(იხ. გარეკანის მე-4 გვ.)

1. ბეტონის იმ მასისაგან, რაც კუბიშვილის ჰესის მშენებლობას დასჭირდება, შეიძლება გაეყვანოს უზარმაზარი ბოძი 100 მეტრის დიამეტრით და 700 მეტრის სიმაღლით.
2. კუბიშვილის ჰესის მშენებლობაზე ჩატარდება 150.000.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოები, თუ ამ მიწით დაეტვირთათ მატარებლის ვაგონებს, მაშინ ამ ვაგონების შემადგენლობა ითვს წრედ შემოერთებებს დამაჩქარებს.
3. კუბიშვილისა და სტალინგრადის მომავალ წყალსაცავებში მოქცეულმა წყალმა შეიძლება მოარწყოს 14.000.000 ჰექტარი, ანუ იმდენი ტერიტორია, რაც უჭირავთ ჰოლანდიის, შვეიცარიის, დანიასა და ბელგიას, ერთად აღებული.
4. სტალინგრადის ჰიდროელსადგურის

- მშენებლობაზე სარწყავ სამუშაოებთან ერთად ჩატარდება 1.000.000.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოები. თუ ამ მიწას აღვიარათავეთ ისე, რომ ფუძე ერთი კილომეტრი დიამეტრი ექნეს, — მაშინ მიწის ეს ზენი იალბუხის ნაბიჯზე მიიღწევს.
5. შინაარს ვოლგაზე ნაოსნობის ტვირთი-ზოღვა 40-ჯერ გადააძარბებს ვოლგისპირა რეინიზის მაგისტრალის ტვირთიზოღვას.
  6. თუ სამტონიან ავტომანქანებს დაეტვირთათ კუბიშვილჰესის მშენებლობაზე საჭირო რეინის კონსტრუქციებით, მაშინ რეინი ჩამწყობებული ამ ავტომანქანების კოლონის სიგრძე 1.000 კილომეტრი იქნება.
  7. მსოფლიოში უდიდესი თურქმენეთის არხი — 1.100 კილომეტრი — ამგნდება 7 წელიწადში; პანამის არხი (81 კლმ.) 35 წელიწადში შენდებაოდა, სუეცისა (165 კლმ.) — 22 წელიწადი.


## შ ი ნ ა ა რ ს ი

გ. კაქხიძე—ქუაჩილები ევკავილობდეთ (ლექსი)	33-1	გრ. ზარდალიშვილი—კომუნიზმის დიდი მშენებ- ლობანი (წერილი)	21
რ. კაციაძე—კომუნისტური აღზრდის დიადი პროგრამა (წერილი)	2	დ. გვრიტიშვილი—დიდი ქართული ისტორიკოსი (წერილი)	24
წ. ჩხიძე—შემთხვევა კავშირში (მოთხრობა)	3	ე. ზაგრავერა—არის ბეტონი? (წერილი)	26
ზ. შელია—შვილობისათვის ბრძოლა—ბავშვთა ბედნიერებისათვის ბრძოლა (წერილი)	4	კ. ანდრეევი—ორსართულიანი ზღვა (წერილი)	27
ა. ინელი—კახეთში (ლექსი)	6	გ. მინდაძე—სკილი (წერილი)	28
პოლ-ვიან კუტიურიე—ფლემანტურთ ვანი (მოთხრობა, თარგმანი სერგო თორნაგასი)	7	3. გეგუჩაძე—დიდი მეცნიერის გამბედაობა (წერილი)	29
ა. ჭურთიაშვილი—ქართული თეატრი (წერილი)	10	ჩინური ანდაზები	31
ს. მარშაკი—მოთხრობა უცნობ გმირზე (ბალადა, თარგმანი მურმან ლებანიძისა)	13	იციოთ თუ არა თქვენ გასართობი — გარეკანის მე-3 გვ. გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა	32
ლ. მშვილიძე—მთა აქვთ მომავალი (წერილი)	15	„შინური მიღების მიღება“ — ევთენის მხატვარ	
სამ.—(მოთხრობა, ფრანგულიდან თარგმნილი ნათელა ჯიბლაძისა)	17	ა. ხანძლავაძე, გარეკანის მეოთხე გვერდზე მოთავსე- ბული ლაგრამა — ა. კანდელაკ.	
რ. ქვიციანი—ოქროსანელი შაქრი (მოთხ.)	18		

რედაქტორი ბ. ძაბაძე. ზარდალიშვილი ვლადიმერ, მ. მარ-  
დალიშვილი, მ. თაყაიშვილი, მ. მარკიანი, მ. მირიანაშვილი, რ. ნიშაძე, ზ. შინელი.  
პასუხისმგებელი რედაქტორი მ. თორაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

№ 17042 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეყ. № 106 სტამბის შეყ. № 1372  
დ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14  
ფრანკლის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ფესტ-მანქანაზე.



## ფარაონი და ტყვე

შეადგინა ძარბილოს კახიკაძემ

ევგენის მმართველმა (ფარაონმა) რამზე II გაილაშქრა ჩრდილოეთ სირიაში, ზეთების წინააღმდეგმდინარე ორონტთან, ქალაქ კადეშის მახლობლად. მოხდა სასტიკი, სისხლისმღვრელი ბრძოლა.

ევგენებლებმა დიდი ზარალით შეხშლეს ზეთების დამარცხება, ამ ბრძოლაში მოკლულ იქნა ზეთების ხარაღი, ხოლო მისი ქალიშვილი, მშვენიერი ნუსუ ტყვედ ჩაყარდა.

ზეოების ხარაღის გოგონა სიკვდილით არ დასაჯეს, მაგრამ არც გაათავისუფლეს.

ფარაონმა გოგონას თვალები აუხვია, შეიყვანა ლაზირინთში, ცენტრში დააყენა და უთხრა:

— შენ იმყოფები ლაზირინთში, რომელსაც აქვს ოთხი კუთზე და ერთი კარი. სამ კუთზეში გდარაჯობს სიკვდილი. იქ არიან: ღოში, გარეული ხარი და ნიანგი. ვახსენებელი კარი მეოთხე კუთზეშია. თუ შესძლებ ლაზირინთიდან გასვლას, თავისუფალი იქნები...

... როდესაც ნუსუმ თვალებიდან საბუვეი მოიხსნა, დაინახა, რომ სრულიად მარტო იყო.

ბავშვებში დაეხმარეთ ტყვე გოგონას—ვაიყვანეთ უწყებლად ლაზირინთიდან.

ნუსუ 1350 წ.



### ა მ ო ც ა ნ ა


კერძო დღეი მიჰქრის აღმართზე სამასორმოც მეტრს წანში, მწვეარი მხოლოდ ორას მეტრს იმეც დროსა და ვამში. მათი სიჩქარე ქელს იქით იცეღება თავდაღმართზე: კურდღელი გარბის ორას მეტრს, ძაღლი—ასით მეტს მასზე.

ქელამდე კურდღელს მოუწევს ათასმედიღის მეტრო, მწვეარს კი—კურდღლის მანძილზე სამოცი მეტრით მეტი. კურდღელი გარბის, მწვეარი მისღებს და ბრახით უღრენს. რა ხანში წამოეწევა მის წინ მარბენალ კურდღელს?



დ. კახიკაძე

# იკით თუ არა თქვენ, რომ...



14000000

ჰექტარი



პილახნადა

შუეცდრიბ

დხნობ

ბუღუგა

150000000 კბ. მეტრი

1

6000000


კბ. მეტრი  
ბეგონა



1000000000 კბ. მეტრი

4

40 ჯერ მეტა



5

952

6

81კ. პანამის არხი

166კვ. სუეცის არხი

7

1100 კვ. თურქმენეთის არხი

ამ დიაგრამის ამხნელი ტექსტი იხილეთ 32-ე გვ.